# გრიგალი

თ ფ ი ლ ი ს ი

ხუთშაბათი, 14 (27) სექტემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.


ჩამოახრჩეს: ვარშავაში ერთი კაცი, დახვრიტეს: ლუგანსკში სამი კაცი, სიკვდილით დასაჯა მიუსაჯეს: მოსკოვში ერთს, კიევში ერთს, ყირიმში ერთს, პეტერბურგში ერთს.—ბაქოში პატრიოტებს სროლა აუტეხიათ ერთ სახლისთვის.—ოდესაში მარცვა გახშირდა.—რიგაში ყუმბარებს ისვრიან.—კასპარის სტამბის ასოთ-ამწყობები ამხანაგებს ღალატობენ.—პეტერბურგის არსენალიდან სამი ზარბაზანი გაიტაცეს.


№ 5 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 5



8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „გ რ ი გ ა ლ ი“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ“.



[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]



## ს ა ჩ უ ქ ა რ ი

ქალაქ ანტვერპენში, ბელგიის სამეფოში, საერთაშორისო ხელოვნებისა, აღებ-მიცემობის და მეურნეობის გამოფენაზე 1906 წ., რომელსაც მფარველობდა ბელგიის პრინცი ალბერტი

**ყურძნის ღვინის საუკეთესო ღირსებისათვის მიუსაჯეს**

## დიდი ვერცხლის მედალი

მემამულე **დანიელ მაქსიმეს ძე მესხიშვილს**

ქალაქ ბათუმი მიხაილოვის ქუჩა.

(3—1)



## უსახელო საზოგადოება ტფ. ტრამვაისა

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 14 სექტემბრიდან ელექტრონის ტრამვაის ვაგონების მოძრაობა ამნაირ წესზე იწარმოებს:

ვაგონები, რომლებიც ერევნის მოედნიდან და ვერის პავილიონიდან (ზემელის აფთექიდან) მიდიან, ვოკზალზე წავლენ სადოვაია ქუჩით და მუშტაიდის შესახვევით (მუშტაიდი), თანახმად გაკრულ განცხადებისა; ამასთანავე სადოვაია და მიხაილოვის ქუჩებზე გადაჯდომა საჭირო აღარ იქნება.

საღამოობით ერევნის-მიხაილოვის ქ. ვაგონები მწვანე ბუფერის ფარნებით და ვერის ხიდის ვაგონები წითელ ბუფერის ფარნებით ვოკზალზე სადოვოია ქუჩით წავლენ, დანარჩენი ამ მიმართულების ვაგონები ვოკზალზე წავლენ მუშტაიდის შესახვევით (მუშტაიდი).



ახალგაზდა **ნოქარი**

ეძებს ადგილს. იკითხეთ „გრიგალის“ რედაქციაში, კრასნაგორის ქ., № 3.



**ივ. გომელაურის-მიერ შედგენილი ახალი წიგნი:**

„სკოლებში შესასწავლი

## ქართველი მწერლები“.

იყიდება ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში (თფილისში).



**ქართული წარმოდგენა**

ვერცელის თეატრი

კვირას 16 სექტემბერს 1906 წლის

ქართულ დრამატიულ სცენის არტისტების: ტასო აბაშიძის, ვ. გუნიას, ა. იმედაშვილის და სახალხო სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:

I

## „დამნაშავეა“

დრ. 3 მოქ. თარგ. ნიკიტინისა.

II

## „პარიჟელი ბიჭი“

კომ. 2 მოქმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ტასო აბაშიძე, ს. რთმანიშვილი, თ. აფხაზიშვილი, მ. კავთელი, ნ. ჩაგუნავა, ნ. საფაროვი, თ. ანაშვილი და სხვები. ბ.ბ. ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, როманიშვილი, საყვარელიძე, ანაშვილი, გელიკურაშვილი, კუდაშელი, ინაშვილი, ლანდი და სხვ.

**ბილეთების ფასი 2 მან.—30 კაპ.**

ბილეთები გაიყიდება წარმოდგენის დღეს 4 საათიდან—წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე—ანტრაქტებში დაუკრავს სამხ. მუსიკა.

გამგე ალ. ბაქრაძე.


### მუშათა უპარტიო სიეზდი

როგორც გაზეთებიდან ჩანს, სატახტო ქალაქების პროლეტარიატს ამჟამად ძალიან აინტერესებს კითხვა სრულიად რუსეთის მუშების წარმომადგენლების სიეზდის გამართვისა. „მუშათა წრეებში ამ იდეას ალტაცებით ეგებებიან“, ვკითხულობთ ერთ გაზეთში. ამ სიეზდის გამართვის იდეა დაებადა რუსეთის სოც.-დემოკრატიის ვეტერანს პ. აქსელროდს, რომელიც თურმე ცხარე აგიტაციას ეწევა, რომ სიეზდის მოწვევა მუშებში პოპულიარული გახადოს. აქსელროდს მხარს უჭერენ „მეუმცირესენი“, სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ „მეუმრავლესენი“. რომელი მხარეა მართალი? ვისი მხარე უნდა დავიჭიროთ ამ კამათში?

ჩვენი აზრით, მუშათა კლასის სიეზდი უზარმაზარ გავლენას იქონიებს, როგორც დღევანდელ რევოლიუციაზე, ისე მუშებში სოციალისტურ შეგნების გაფართოვების და გაღრმავების საქმეზე და, მაშასადამე, თვით სოც.-დემოკრატიულ პარტიისათვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

რა გავლენას იქონიებს მუშათა სიეზდი რევოლიუციაზე?

ყველასათვის აშკარაა ის დაუძლეველი ლტოვილება შეკავშირებისაკენ, რომელმაც ამ ბოლო წლებში ასე ძლიერათ იჩინა თავი რუსეთის პროლეტარიატში. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთში გამეფებული გენერალ-გუბერნატორები ერთმანეთს ეცილებიან სულის შემხუთველ კანონების გამოგონებაში, მიუხედავათ იმისა, რომ სხვადასხვა ჯურის ადმინისტრატორები ათას „დროებით წესებს“ აცხადებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი რაც ძალი და ღონე აქვთ სდევნიან პროფესიონალურ მოძრაობას და ათას შარს იგონებენ მათ მოსასპობათ,—ყველა ამის მიუხედავათ მთელ რუსეთის სივრცეზე მუშების პროფესიონალური კავშირები ისე იბადებიან, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. მუშების ეკონომიური შეკავშირება—სტიქიური აუცილებლობაა, და ვერავითარ „დროებითი წესებით“ და „განკარგულებებით“ ვერ შეაჩერებ მას, თუნდა ათასი სახელოვანი გენერალ-გუბერნატორი ერთად მიადგეს მას მთელი თავისი არტილერიით და დამსჯელ რაზმებით.

გარდა პროფესიონალურ შეერთებისა ეკონომიურ ბრძოლის გასაუმჯობესებლათ, პროლეტარიატში ძლიერათ თავი იჩინა აგრეთვე პოლიტიკურ ბრძოლისათვის შეკავშირებამ. ვინ არ იცის, როგორ ალტაცებით მიეგება პროლეტარიატი „მუშათა დეპუტატების საბჭოს“ დაარსების იდეას. თუმცა ამ იდეას თავდაპირველათ ბევრი მტერი გამოუჩნდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში („ბოლშევიკები“, ეს-ერები), მაგრამ ეს იდეა ისე ცხოველმყოფელი გამოდგა, რომ თვით ურწმუნო თომანიც კი თავის რჯულზე მონათლა და თავის ძალას დაუმორჩილა. „ბოლშევიკები“ ეხლა თავის ლიდერის—ლენინის პირით აღიარებენ, „მუშათა დეპუტატების საბჭოებმა დაიმსახურა, და სამართლიანათაც, უზარმარი ავტორიტეტიო“. ეს-ერები ხომ ამ იდეამ ისე გაიტაცა, რომ ს ცა არა მგონია ყვირიან, „მუშათა დეპუტატების საბჭოები“ უნდა დავაარსოთო, მოსახერხებელია ეს, თუ არ არის მოსახერხებელი, ამას ძალიან არ დაგიდევენ. რით დაიმსახურა ასეთი სიყვარული „მუშათა დეპუტატების საბჭოებმა“?—იმით, რომ მათ გააერთიანეს ერთ ქალაქის მუშების პოლიტიკური ბრძოლა და ამ ბრძოლაში შეიტანეს წესრიგი.

როგორც პროფესიონალურ კავშირებს, ისე „მუშათა დეპუტატების საბჭოებს“ არ ქონდათ პარტიული ხასიათი, ისინი უპარტიონი იყვნენ. და კიდეც ამას ქონდა დიდი მნიშვნელობა. კავშირების და „საბჭოების“ უპარტიობამ ბევრი მუშა მიიზიდა, ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაითრია ისეთი შეუგნებელი მუშებიც, რომლებიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ მოინდომებდენ შესვლას.

ამჟამათ, როგორც ჩანს, შეკავშირების სურვილი უფრო გაფართოვდა, გადასცილდა პროფესიის საზღვრებსაც და ცალკე ქალაქების საზღვრებსაც. თუ აქამდის მუშები ერთმანეთს ეცნობოდენ ერთ ხაზეინთან ბრძოლის დროს, თუ აქამდის ერთმანეთს ხვდებოდენ ერთი ქალაქის მუშები საერთო პოლიტიკურ გამოსვლის დროს, დღეს მუშათა სიეზდის საშუალებით ერთმანეთს გაეცნობიან რუსეთის სხვადასხვა კუთხის მუშები; ამ სიეზდზე გამოაშკარავდება, რა სურს სრულიად რუსეთის პროლეტარიატს, რა ძალა შესწევს მას, რას ფიქრობს, საით კენ მიილტვის იგი.

სიეზდის საშუალებით რუსეთის პროლეტარიატი თავის თავს გაიცნობს. ეს პატარა საქმე კი არ არის! აქამდის მთავრობას დანაწილებულ ხალხთან ქონდა საქმე. ერთს ადგილას რომ ატყდებოდა რამე, მეორე ადგილი მხარს არ უჭერდა; ერთ ქალაქში რომ გაფიცვა გამოცხადდებოდა, სხვა ქალაქები ჩუმათ იყვნენ. ამით სარგებლობდა მთავრობა და ადვილათ უსწორდებოდა ხალხის ალაგ-ალაგ ბრძოლას. პროლეტარიატმა, როგორც ხალხის ყველაზე უფრო შეგნებულმა ნაწილმა, ყველაზე უწინ იგრძნო, რაში მდგომარეობს სახალხო მოძრაობის „სუსტი ალაგი“, მან იგრძნო, რომ ხალხის სისუსტე მის დანაწილებაშია, და მან უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი სახალხო ბრძოლის გასაერთიანებლათ. ეს პირველი ნაბიჯი იქნება მუშათა სიეზდის გამართვა.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო“, ვიმეორებთ ჩვენ ყოველ წამს. მაგრამ სანამ „ყველა ქვეყნის“ პროლეტარები შეერთდებოდენ, ჯერ საჭიროა ყველა „კუთხის“ პროლეტარები შეერთდენ. და თუ რუსეთის მუშებში დაიბადა სურვილი ამ შეერთებისა, ნუ თუ ჩვენ ვეწინააღმდეგებით მას?—საჭიროა, ამ „შეერთებაში“ მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება ფართო მასამ, საჭიროა სიეზდით დაინტერესდენ როგორც შეგნებულნი, ისე შეუგნებელი მუშები; ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა ეს სიეზდი უპარტიო იყოს. როგორც უპარტიო პროფესიონალურმა კავშირებმა ეკონომიურ ბრძოლაში ჩაითრიეს ყველა მუშები, შეგნებულნიც და შეუგნებელნიც; როგორც უპარტიო „მუშათა დეპუტატების საბჭოებმა“ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩააბეს მუშების სულ ყველაზე ბნელი ელემენტები, ისევე უპარტიო სიეზდი საერთო ფერხულში შეაერთებს მთელ მუშათა კლასს, ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანს ფართო მასას. და ვინ არ იცის, რომ მხოლოდ ფართო მასა შეიძლებს ძველი წესწყობილების დანგრევას? ვინ არ იცის, რომ მხოლოდ ფართო მასამ უნდა მიიყვანოს რევოლიუცია თავის ლოღიკურ დასასრულამდის?

მაგრამ უპარტიო სიეზდი ხომ შეასუსტებს სოც.-დემოკრატიულ პარტიას? ის ხომ „დამოუკიდებელ მუშათა პარტიას“ გააძლიერებს? ეგ „შეუგნებელ მუშებს ქკუაზე გადარევს!“ გაიძახიან „ბოლშევიკები“. მართლაც, რა გავლენას იქონიებს მუშათა უპარტიო სიეზდი სოც.-დემოკ. პარტიაზე? ამაზე შემდეგ.

**ლეო.**

### პოლიტიკური მიმოხილვა

**კოკოვცევი ფინანსების მდგომარეობის შესახებ.**

ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს ლაპარაკი ქონია ერთ საზღვარ-გარეთელ კორესპონდენტთან. ამ ლაპარაკში მან ბევრი საინტერესო რამ გამოამჟღავნა რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

სხვათა შორის მინისტრი შეეხო 50 მილიონის სახელმწიფო რენტას, რომელიც მთავრობამ დამშეულ მცხოვრებთა საშველათ გამოსცა. როგორც გაზეთები ლაპარაკობდა, მთავრობა ცდილობდა ეს რენტა გაესაღებინა საზღვარ-გარეთის ბაზარზე. მაგრამ ინგლისში ამ რენტაში მხოლოდ 78 პროც. იძლევიან. რა ექნა მთავრობას? როგორც კოკოვცევის სიტყვებიდან ჩანს, მას, არც უციებია, არც უცხელებია, აუღია და რენტა ძალდატანებით მიუყიდია... შემნახველ კასებისთვის. „მე შესაძლებლათ ვცან ეს თანხა შემნახველ კასებიდან ამომეღო... მე შემეძლო ეს რენტა პირდაპირ ბირჟაზე გამეყიდა, მაგრამ ვაი თუ რენტის კურსი დაცემულიყო; ამიტომ რენტა კასებს მივყიდე“. კოკოვცევი ამნაირ მოქმედებაში დასაგმობს არაფერს ხედავს: „რა არის საიმისო ამ ოპერაციაში? რა შეიძლება ესაყვედუროს რუსეთის საფინანსო პოლიტიკას“? ვუპასუხოთ ამ კითხვაზე.

რუსეთის ხაზინის საქმე ისე ცუდათ ყოფილა, რომ მას აღარ ენდობიან არც შინ, არც გარეთ. ინგლისში რუსეთის რენტაში 78 პროცენტს აძლევენ; შინაური კაპიტალისტები, თვით კოკოვცევის სიტყვით, თავის ფასში არ ყიდულობენ. მაგრამ მთავრობას უნახავს დაბალი ლობე—რუსეთის მცხოვრებნი—და მთელი რენტა მათთვის მოუხვევია თავს. ვინ არის იმ ფულის პატრონი, რომელიც შემნახველ კასებში აწყვია?—რუსეთის მცხოვრებნი. მთავრობამ საჭიროთ არც კი სცნო დაეკითხებოდა ფულის პატრონებს, სურთ, თუ არა, მათ თავის ფულით სახელმწიფო რენტა შეიძინონ? მთავრობამ ძალდატანებით თავს მოახვია მათ **საეჭვო რენტა**, რომელსაც ნებაყოფლობით არავინ ყიდულობს, და ამითი მცხოვრებლების შენახული ფული საფრთხეში ჩააგდო. თუ ეხლანდელი ანარხია დიდხანს გაგრძელდა, თუ მთავრობა განაგრძობს თავისებურ თარეშობას და ხალხის ავლადიდების არტილერიით განადგურებას, მრეწველობა-წარმოების საქმე სახელმწიფოში კიდევ უფრო დაეცემა, კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება და ამას ადრე თუ გვიან მოყვება ხაზინის კოტრობა და სახელმწიფო ქაღალდების ფასის დაცემა. თუ ხაზინამ კოტრობა გამოაცხადა, მაშინ შემნახველ კასებს სახელმწიფო რენტაში ხაზინა ველარ მისცემს დადებულ ფასს და ამნაირათ ხაზინის კოტრობას შემნახველ კასების კოტრობა მოყვება. ამნაირ საფრთხეში ჩააგდო კოკოვცევმა შემნახველ კასების ფულის პატრონები და ეხლა უმანკოთ გვეკითხება: „რაა აქ საიმისოო?“

გარდა ამისა კოკოვცევის ნალაპარაკევში საინტერესოა ის, თუ რანაირათ უყურებს მთავრობა ვიბორგის მოწოდებას. კოკოვცევი იძულებულია გამოტყდეს, რომ „რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა მართლაც სერიოზულია. მაგრამ ამაში დამნაშავეა ვიბორგის მოწოდება, რადგან უმთავრესი შემოსავალი პირდაპირ გადასახადებიდან შემოდის და ამაზე კი მცხოვრებნი უარს ამბობენ.“ მაშასადამე, ვიბორგის მანიფესტი არც ისე უვნებელი გამომდგარა, როგორც მთავრობისგან მოსყიდული პრესა გვიმტკიცებდა!...

### წერილები გერმანიიდან

(დასასრული. იხ. „გრიგალი“ № 4).

ჩემი წერილის პირველ ნახევარში მე კიდევ და კიდევ შევაჩერე მკითხველის ყურადღება გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობის სახიფათო მხარეზე. ახლა კი საჭიროა ეგ მხარე ფაქტიურათ დავასაბუთოთ. ამისათვის მე მოუყვები მკითხველს მოკლეთ და დალაგებით ერთ ამბავს, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც აქაურ სოციალდემოკრატიას და პროფესიონალთ სერიოზულათ ართობს.

1905 წელს თებერვალში მოხდა ქ. კიოლნში პროფესიონალთა მორიგი კონგრესი. ეს სწორეთ ის დრო იყო, როცა რუსეთის დიდ რევოლიუციის გრიგალმა პირველათ ამოხეთქა და მთელი ევროპის მშრომელ ხალხს გამაცოცხლებელი სული ჩაბერა. როგორც სხვაგან, გერმანიაშიც თანამედროვე დევ-გმირმა — პროლეტარიატმა იწყო ოდნავათ რყევა და გაბატონებულ კლასთ ძრწოლა დააწყებინა. პროფესიონალთა კონგრესიც ვერ დარჩებოდა უკავლენოთ ამ საერთო სიტუაციისაგან. დელეგატებმა, უმთავრესათ მოხელეებმა, იგრძნეს, რომ მუშათა მოუთმენლობა და რუს მოძმეთა ქრონიკული გაფიცვებისაგან გამოწვეული ალტაცება თანდათან მატულობდა. მათ წინდაწინვე იგრძნეს, რომ ასეთი საერთო აღფრთოვანება უსათუოთ იმოქმედებდა სოციალდემოკრატიის მომავალ პარტეიტაგზე და მოსალოდნელი იყო, რომ უკანასკნელს რამე „რადიკალური“ დადგენილება მიეღო. ამის თავიდან ასაცილებლათ ისინი გაერიენ პროლეტარიატის საერთო საქმეში, თავიანთ კომპეტენციას (უფლებებს) გადააბიჯეს ფეხი და მიიღეს ბიომელბურგის ცნობილი რეზოლიუცია, რომელიც უკრძალავს ორგანიზაციებს საერთო გაფიცვაზე კამათს პრესაში და კრებებზე. ამით მათ უნდოდათ გაესწროთ პარტეიტაგისთვის, რომ უკანასკნელს ხელ-ფეხი შეკრული ქონოდა მის სფერაში, რომელშიც უეჭველათ პროლეტარიატის საერთო პოლიტიკური გაფიცვაც შედის.

კონგრესის გადაწყვეტილებამ დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია პარტიაში და პროფესიონალებში. საზოგადოთ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის შეკავშირებულმა პროლეტარიატმა, სულ ერთია, ვის ორგანიზაციაშიც უნდა ყოფილიყო იგი, თავის გულის-წყრომა გამოუცხადა კონგრესს უთვალავ კრებებზე პოლიტიკურ საერთო გაფიცვის აგრე აუჩათ აგდებისათვის. სოციალდემოკრატიული და ორიოდე პროფესიონალური გაზეთი აყვა მასის ხმას და პროფესიონალთა ბელადების გაკიცხვაში ამხანაგურ საზღვარსაც კი გადააცილა. ს. დ. ცენტრალური ორგანო, „ფორვერტსი“ ნამეტანი რბილათ მოეპყრო კონგრესს და რევიზიონისტთა გაზეთებთან ერთათ, თუმცა არა აშკარათ, მუშების საერთო აღშფოთებას საკმაო ყურადღებით არ მოექცა. ამასობაში გამოვიდა ჰენრიეტა როლანდ-გოლსტის წიგნი—„გენერალური გაფიცვა და სოციალდემოკრატია“, რომელიც რამდენიმეთ გაკიცხა „ფორვერტს“-მა ცალკე რეცენზიაში. ამას გასცა პასუხი კაუცკიმ თავის „ნოიე ცაიტ.“-ში და თვით „ფორვერტსში“, რასაც დაუსრულებელი კამათი მოყვა არა მარტო სოც.-დ. პრესაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერლინში მუშების ერთმა კრებამ, რიცხვით 3,000, მიიღო ფრიდებერგის ანარქო-სოციალისტური რეზოლიუცია და მით უარყო პარლამენტარიზმი და ერთათ ერთ საშუალებათ „გე-

საზოგადოების მოქმედების ერთ-ერთი სა-

რადგან ქალაქის ცხაში ამ ...

ნერალური გაფიცვა“ აღიარა, რამაც დიდი ჩოჩქოლი ასტეხა მტერ-მოყვარის ბანაკებში,

ყველა ეს და მასთან რუსეთის ტალღების მაღლა-მაღლა აწევა მიზეზი იყო, რომ ს.-დ. გამგეობამ მომავალ იენის პარტეიტაგის გასარჩევ კითხვათა შორის დასვა პოლიტიკური საერთო გაფიცვა და რეფერენტათ ბებელი დაასახელა. ყველასათვის ცნობილია, რომ პარტეიტაგმა (სექტემბერი 1905 წ.) აღიარა პოლიტიკური საერთო გაფიცვა ერთ-ერთ საომარ იარაღათ პროლეტარიატის ხელში და მისი ძლევამოსილათ მოსახმარებლათ ცნო საჭიროთ პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების მთელ სახელმწიფოში გავრცელება-გამაგრება. იენაში გაცხარებული კამათი გამოიწვია პროფესიონალურ კონგრესის დადგენილებამ. პროფესიონალთა მოთავენი ძლიერ გაჯავრებული იყვნენ „რადიკალებზე“, რომელნიც ასე შეუბრალებლათ ამხელდენ მათ „ზომიერებას“. პროფესიონალთა ერთმა უმთავრესმა ბელადმა რობერტ შმიტმა თქვა: მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ კაუცკის „Neue Zeit“-ი ასე ნაკლებ არის გავრცელებული მუშებშიო“. მასთან „ფორვერტსის კონფლიქტის“ შესახებ პარტეიტაგმა მიიღო ცალკე კომისიისაგან შემუშავებული რეზოლიუცია, რომელმაც დაავალა, სხვათა შორის, ცენტრალურ ორგანოს საერთო გაფიცვის კითხვას უფრო ყურადღებით მოქცეოდა.

იენის შემდეგ ნოემბრის პირველ რიცხვებში პარტიის გამგეობამ მოინდომა „ფორვერტსის“ რედაქციის გამოცვლა, რადგან ის სავსებით არ გამოხატავდა პარტიის უმრავლესობას და ცენტრების შეხედულებას ტაქტიკურ კითხვებზე. მაგრამ, სანამ ის საქმის მოწყობას მოასწრებდა, „ფორვერტსის“ ცხრა რედაქტორიდან ექვსი გადადგა სამსახურიდან და გამგეობამაც მათ ადგილზე სხვები აირჩია. ამ ფაქტს მოყვა დიდი აურზაური, რომელმაც გასტანა რამდენიმე თვე. განსაკუთრებით რევიზიონისტები და ბურჟუაზიული პარტიები სასტიკათ კიცხავდენ პარტიის გამგეობას ექვსი რედაქტორის „გაძევებისათვის“. პროფესიონალთა გენერალურ კომისიამ მის გაზეთში მოთავსებულ საპროტესტო წერილის პირები დაუგზავნა ყველა ხელ-ქვეით ორგანიზაციებს და გაზეთებს, რომ მათ თავიანთ სახელით გამოექვეყნებიათ ეგ პროტესტი პარტიის გამგეობის წინააღმდეგ. ამგვარათ, გენერალური კომისია ხელახლათ გადაცდა საზღვარს და სოციალდემოკრატიის შინაურ საქმეში გაერია. მრავალმა პროფესიონალურმა კავშირმა და გაზეთმა არ მოიწონა თავიანთ ცენტრის ასეთი უტაქტობა და საჯაროთ გაკიცხა იგი.

რუსეთის დიდ გაფიცვის შემდეგ, შარშან ოქტომბერში, აქაურ მუშებს უფრო დიდი მოუთმენლობა დაეტყო. ავსტრიის მუშათა მოძრაობას მოყვა დიდი დემონსტრაციები დრეზდენში და ლეიპციგში; შემდეგ პრუსიაში იანვარში დიდი მოძრაობა. ბევრს ეგონა კიდეც, რომ იენის რეზოლიუცია საქმეთ იქცეოდა და საერთო გაფიცვა გამოცხადდებოდა. სოციალდემოკრატიის გამგეობამ მოულოდნელ მარცხის თავიდან ასაცილებლათ მოუწოდა პროფესიონალთა გენერალურ კომისიას საიდუმლო თათბირზე, რომელზედაც ბებელმა წამოაყენა ექვსი თეზა საერთო გაფიცვის შესახებ. პირველი თეზა ამბობს, რომ გამგეობა ჯერ-ჯერობით მოუმზადებლათ თვლის ნიადაგს საერთო გაფიცვის გასაყვანათ და ამიტომ ის არ ქადაგებს ამ წუთში მის სისრულეში მოყვანასო. დანარჩენ ხუთ თეზაში გამგეობა გამოთქვამს, რომ ის ხელმძღვანელობას იკისრებს, თუ საერთო გაფიცვამ უცაბედათ იფეთქა; პროფესიონალები არ უნდა გაერიონ საქმეში ოფიციალურათ და მოძრაობის მსხვერპლთ ფულის შეგროვებით შემწეობა აღმოუჩინონ.

ამ თათბირის ორი თუ სამი დღის შემდეგ (წრეულს თებერვალში) მოხდა პროფესიონალთა ცენტრალურ კავშირთა საიდუმლო კონფერენცია, სადაც გენერალურ კომისიის წევრებმა დამსწრეთ ამცნეს ბებელის თეზები. ამ კონფერენციის ოქმი ინახებოდა საიდუმლოთ, მაგრამ ლოკალისტების ერთმა გაზეთმა „ერთობამ“ ჩაიგდო ხელში ოქმის პირი და ამცნო ქვეყანას ზოგიერთი ადგილები იქიდან. მან, როგორც ცენტრალურ ორგანიზაციების მტერმა, გამოამჟღავნა, საიდუმლო კონფერენციაზე პოლიტიკურ ბრძოლის და სოციალდემოკრატიის ლანძღვა-გინების მეტი არაფერი მომხდარაო. ამის გარდა მან გამოაქვეყნა ბებელის თეზები, რომლებიდან პირველი მართლაც დამახინჯებულათ ყოფილა თურმე გამოცხადებული და ჩაწერილი საიდუმლო კონფერენციაზე. მასში გამოტოვებულია სიტყვა „ამ წუთში“ და გამოდის ვითომ გამგეობა წინააღმდეგი ყოფილიყოს საზოგადოთ საერთო გაფიცვისა და ვითომ ბებელს იმ რეზოლიუციისთვის ეღალატნოს, რომელიც იენში იქნა მიღებული. ბურჟუაზიულმა პრესამ დაიხვია ეგ ფაქტი ხელზე და აგერ ოთხი თვეა, რაც გამგეობას და განსაკუთრებით ბებელს ცილის-წამების მორევში რევს.

პარტიის გამგეობამ და ბებელმა გამოაცხადეს საქვეყნოთ, პირველ თეზაში „ამ წუთში“ გამოტოვებულია და აზრი დამახინჯებულიაო. გენერალურმა კომისიამ გამოაცხადა წინააღმდეგ ამისა, თეზა სრულიად არ არის გადასხვაფერებულიო. საქმე კიდევ იმან გაამწვავა, რომ „ერთობა“ პატარა დოზებით ახხადებდა საიდუმლო ოქმის ზოგიერთ ადგილებს და ისიც ძლიერ კერძოობით, რაც დიდ ზიანს აყენებდა მუშების მოძრაობას. პარტიის გამგეობამ თხოვა გენერალურ კომისიას, გამოაქვეყნე მთელი ოქმი და მით მტრების ლანძღვა-გინებას ლაგამი ამოვდვათო. უკანასკნელი არ დათანხმდა. მაშინ გამგეობამ მიმართა გ. კომისიას წინადადებით, იშუამდგომლეთ თვით კონფერენციაზე წარმოდგენილ კავშირების წინაშე გამოქვეყნების ნება დაგვრთონო. არც კავშირებმა დართეს ამის ნება. მაშინ გამგეობამ აუტანელ მითქმა-მოთქმის მოსასპობათ თვითონ გამოაქვეყნა მთელი ოქმი და „ფორვერტსის“ ხელის მომწერთ უფასოთ დაურიგდა. ამის წინააღმდეგ გენერალურ კომისიამ მკაცრი პროტესტი გამოაცხადა თავის გაზეთში, თუმცა იმასაც დასძენდა, რომ ოქმში დასამალავი და სასირცხო არაფერია მოთავსებულიო.

ფრიად საინტერესოა ამ ოქმის შინაარსი. მისი დაწვრილებით გაცნობა ძლიერ შორს წაგვიყვანდა. მე შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ მასში ნათლათ არის გამოხატული პროფესიონალთა მოთავეების სულის კვეთება. რეფერენტი მიულერი აშკარათ გამოთქვამს კონფერენციაზე, პროფესიონალები სრულებით არ უნდა ემორჩილებოდენ პარტეიტაგის გადაწყვეტილებას და სოციალდემოკრატიასთან ერთათ თანაბარ უფლებებით უნდა იქნენ აღჭურვილიო. გენერალურ კომისიის თავმჯდომარე ლეგიენი ამბობს, პროფესიონალებისათვის პოლიტიკურ საერთო გაფიცვის კითხვაში მათი კონგრესის გადაწყვეტილება სავალდებულოა. ელმი ჩასჩიჩინებს დამსწრეთ, უფრო გულმოდგინეთ იმუშავეთ პარტიაში და კაუცკი—მერინგი—ლუქსემბურგი გავაძეთოთ. ბრინგმანი პარტიასა და პროფესიონალთა შორის განხეთქილების მიზეზათ იმას ახხადებს, რომ პირველი კლასობრივ ბრძოლას აღიარებს, მეორე კი არაო. ის აღიარებს, აუცილებლათ საჭიროა, „პროფესიონალთა თეორია“ იქნას აღმოჩენილი და მარქსიზმი განდევნილ იქნას მუშების წრიდან და სხვ... საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ყველა დამსწრენი პარტიასა და პროფესიონალთა შორის კარგი განწყობილების მომხრენი იყვნენ. გაფიცხება ცოტათი მაინც ცხარე პოლემიკისაგან იყო გამოწვეული.

ზემო მოყვანილიდან ერთათ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: პროფესიონალები გაიზარდენ და არ ეტევიან ძველ „ნეიტრალურ“ ქერქში. მათ უნდათ სოციალდემოკრატიას შეაკვეცონ ფრთები და პოლიტიკაშიც პირველობა თვითონ დაიჩემონ. ეგ მეტოქეობა თვით ცხოვრებაშია ჩასახული და დიდ განსაცდელის წინ აყენებს გერმანიის მუშათა კლასს. პარტიაში დაჩაჯრული რევიზიონისტები პროფესიონალებში მძვინვარებენ და თავიანთ პოლიტიკურ უხასიათობას თავზე ახვევენ მასას. ვინც დაკვირებია აქაურ პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებას, მისთვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ პროფესიონალებში შეკავშირებული მუშათა გროვა სრულებით არ თანაუგრძნობს თავის მოთავეთ „ზომიერებაში“, არამედ მისი გული და სული მიილტვის მყვლეფელ კლასების განადგურებისაკენ, მაშასადამე, მათ ასულდგმულებს კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმისათვის.

სოციალდემოკრატიის გამგეობამ ატეხილ დავის გადასაწყვეტათ წრეულს კიდევ დასვა მანჰეიმის პარტეიტაგზე გასარჩევათ (23—30 სექტემბერს) პოლიტიკური საერთო გაფიცვა და რეფერენტათ ისევ ბებელი დაასახელა. მის მოწინააღმდეგე კორრეფერენტათ დანიშნულია გენერალურ კომისიისაგან პროფესიონალთა ბელადი ლეგიენი. არას დროს არ ელოდა გერმანიის პროლეტარიატი ისეთი გულის ტკივით პარტეიტაგს, როგორც წელს. იგი, ეჭვს გარეშეა, იქნება ერთი უშესანიშნავესი მოვლენა თავის მდიდარ შედეგებით. გერმანიის მუშათა მოძრაობას არა ერთხელ გამოუცდია ასეთი კრიზისი და, იმედია, ამასაც სძლევს და მტრების გულის მოსაკლავათ.

**ა. ჩხენკელი.**

### პარტიის ცხოვრებიდან

**ბოლშევიკების აზრი მუშათა უპარტიო სიეზდის შესახებ.** 4 სექტემბერს პეტერბურგში „ბოლშევიკების“ ფრაქციის წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონდათ. ირჩეოდა კითხვა მუშათა უპარტიო სიეზდის გამართვის შესახებ. ყველა 74-მა კაცმა (11-ს აზრი არ გამოუთქვამს) მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ აგიტაცია უპარტიო სიეზდის მოსაწვევათ „დამალავს განსხვავებებს პარტიას და კლასს შორის; დაამდაბლებს მუშების შეგნებას და პროლეტარიატის შეუგნებელ ნაწილების შეგნებას გაუთანასწორებს; მუშებს იმნაირ იმედებს ჩაუნერგავს, რომლებსაც სიეზდი თავის დღეში ვერ განახორციელებს“. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ეს აგიტაცია სარგებლობას მოუტანს წვრილ-ბურჟუაზიულ მიმართულებებს, რომლებსაც სურთ წაშალონ ხაზი პროლეტარიატსა, წვრილ მწარმოებელთა და პროლეტარიატის ნამდვილ მტერთა შორის („უზმაკოვცები“ და სხ.). ამ მოსაზრებების ძალით კრებამ გადასწყვიტა: „უპარტიო სიეზდის გამართვის იდეას დემაგოგიური ხასიათი აქვს და პროლეტარიატის საქმეს მხოლოდ ვნებას მოუტანს“. კრება დასძენს, სხვანაირ პოლიტიკურ პირობებში ამნაირ სიეზდის გამართვა შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო.

—

მუშათა უპარტიო სიეზდის მოწვევა საჭირ-ბოროტო საკითხათ გადაიქცა; მის გამო ატეხილი კამათი ისეთ გამწვავებას იწვევს, რომ შეიძლება მომავალში ს.-დ. პარტია ერთხელ კიდევ ორათ გაიპოს. ჩრდილოეთის ს.-დ. მეორე საოლქო კონფერენციამ გაარჩია საკითხი უპარტიო სიეზდის მოწვევის შესახებ, და გამოიტანა დასაბუთებული რეზოლიუცია. რეზოლიუცია ამნაირია: 1) აგიტაციას უპარტიო სიეზდის მოსაწვევათ ჩვენ ვცნობთ მავნებელ დემაგოგიათ, რადგან აგიტაცია ჩამოაშორებს მუშების ყურადღებას სოც.-დემ. პარტიის შეერთების და გამაგრების საქმეს და შეუგნებელ მასას გონებას დაუბნელებს შეუსრულებელ და შეუძლებელ დაპირებებით; 2) მუშათა სიეზდის გამართვა დღეს-დღეობით უდროვოა და არ არის სასურველი; 3) სოც.-დ. პარტია მედგრათ ებრძვის ყოველ დემაგოგიას, მაგრამ უარს არ იტყვის მონაწილეობა მიიღოს მუშათა დეპუტატების საბჭოების სიეზდში, როცა მისთვის დრო მოვა, ან სხვა ამნაირ სიეზდებში, რომლებსაც გარკვეული პოლიტიკური მიზანი ექნებათ; ამნაირ სიეზდებზე ს.-დ. უნდა მოქმედებდეს როგორც ერთი მთლიანი პარტია.

**ბუნდის მე-7 სიეზდი.** სიეზდს დაესწრო 67 წარმომადგენელი 22,000 მუშისაგან არჩეული. დელეგატის გაგზავნის უფლება ჰქონდა იმ ორგანიზაციებს, რომლებშიაც შედის არა-ნაკლებ 300 მუშისა. ბუნდის ორგანიზაციებში სულ ითვლება 38,000 მუშა. პირველათ გაირჩა კითხვა რუს ს.-დ. პარტიასთან შეერთების შესახებ. 47 ხმით 20-ის წინააღმდეგ გადასწყვიტეს შეუერთდენ რუს ს.-დ. პარტიას იმ პირობით კი, თუ ბუნდს ნება ექნება თავისი ნაციონალურ-კულტურული ავტონომია დაიცვას. სიეზდმა გადასწყვიტა, რომ ს.-დ.-იამ უნდა მონაწილეობა მიიღოს როგორც საარჩევ-კამპანიაში, ისე თვით დუმაშიაც. პარტიული სიეზდის გამართვა სიეზდმა ნაადრევათ სცნო, სანამ ბუნდის და პარტიის ორგანი-

## ფელეტონი

—:—

**კაპიტალიზმი და მეურნეობა**

(აგრარული საკითხის გამო)

(შემდეგი *)

V **)

წარსულ წერილში ჩვენ ვთქვით, რომ საწარმოვო ძალების განვითარებას თან სდევს საზოგადოების დიფერენციაცია, მისი კლასებათ დაყოფა. მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო პროლეტარიატზე და ბურჟუაზიაზე, ვინაიდან ეს ორი კლასი სოფელში გარდაიქმნა იმ ღერძათ, რომლის გარშემოც დატრიალდა ცხოვრების ახალი ჩარხი—კაპიტალისტური მეურნეობა. რასაკვირველია, მთელი საზოგადოება ამ ორი კლასით არ განისაზღვრება. მათ შორის არსებობს ისეთი კლასიც, რომელსაც თავისი მდგომარეობით საშუალო ადგილი უჭირავს. ეს არის წვრილი მესაკუთრე, რომელიც აწარმოებს წვრილ მეურნეობას. როგორია ამ კლასის ეკონომიური მდგომარეობა? საითკენ მიდის წვრილი მეურნეობის განვითარება? ამ კითხვებზე მშვენიერ პასუხს იძლევა შინაურ მრეწველობის (кустарный промыселъ) განვითარების ისტორია. იმ დროს, როდესაც კაპიტალი სოფელში ახალი ხილი იყო, სოფლის ბედიღბალი და სარჩო-საბადებელი წვრილ მესაკუთრეს ეკუთვნოდა. სოფელი წარმოადგენდა განსაკუთრებულ ჯგუფებს, რომელთა შორის არავითარი ეკონომიური დამოკიდებულება არ არსებობდა. თვითოეულ ჯგუფში, ვით დამოუკიდებელ სამეფოში, მოქმედებდა წვრილი საკუთრების პატრონი. მას ჰქონდა თავისი ადგილ-მამული, თავისი ეზო და კარი. ის მცირე მოსავალი, რომელიც წვრილ მწარმოებელს მოყავდა, სრულიად აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას. საქონლის გაცვლა გამოცვლა ჯერ არ არსებობდა და, თუ შეხვდებოდით სადმე, მას იქაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. იცვლებოდა მხოლოდ შრომის ისეთი ნაყოფი, რომელიც ზედ-მეტი, ან გამოუსადეგარი იყო პატრონისთვის. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო რომელიმე წარმოების წინ წაწევა. წვრილმა მესაკუთრემ ვერ შესძლო საწარმოვო ძალების საკმაოთ განვითარება, წვრილმა მეურნეობამ ვერ დააკმაყოფილა საზოგადოების მოთხოვნილება, რომელიც დღითი დღე პროგრესიულათ იზრდებოდა. „წვრილი მიწათმფლობელობა, ამბობს კ. მარქსი, თავის-თავათ უარყოფს საწარმოვო ძალების განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალის საზოგადოებრივ კონცენტრაციას, მრავალ-რიცხოვან საქონლის მოვლას და მეცნიერების პროგრესიულათ მოხმარებას“ *). წვრილი მიწათმფლობელობა, განაგრძობს ავტორი, იგულისხმებს, რომ მცხოვრებლების მომეტებული ნაწილი სოფლებში იმყოფება, სადაც უპირატესობა განცალკევებულ შრომას ეკუთვნის და არა საზოგადოებრივ წარმოებას. წვრილი მიწათმფლობელობის დროს უარყოფილია წარმოების სხვადასხვაობა, ე. ი. უარყოფილია ის მატერიალური და სულიერი პირობები, რომელნიც ქმნიან რაციონალურ კულტურას“ *). მაშასადამე, პრიმიტიულ საზოგადოების წარმოებითი ფორმა ვერ ავითარებს საკმაოთ საწარმოვო ძალებს. ამ წარმოების შინაარსი გამოიხატება მხოლოდ შინაურ „ხელოსნობაში“ (ремесло). მაგრამ ამისდა მიუხედავათ სწორეთ ამ ხელოსნობაში ისახება და თავს იყრის ისეთი მატერიალური პირობები, რომელნიც ქმნიან მომავალში საზოგადოების უკეთეს წარმოებით ფორმას. ხელოსნობა ამ პროცესის დროს სრულიად ქრება, იგი იცვლება შინა-მრეწველობით: ამას მოითხოვს „საგნების ლოლიკა“ და საწარმოვო ძალების განვითარება. წვრილ მწარმოებელს ჯერ იშვიათად გაქონდა საქონელი გასასყიდათ, ხოლო როდესაც ბაზრის მოთხოვნილებამ იმატა, საქონლის მეტი გადაცვლა მისთვის ხელსაყრელი გახდა. თვითოეული მწარმოებელი ამ დროს ცდილობს მარტო თითონ გაუძღვეს ბაზრის მოთხოვნილებას, ხშირათ ის არც კი აგებინებს თავის ამხანაგებს, თუ რას უფრო საჭიროებს ბაზარი. ერთი სიტყვით, პატრიარქალურ წარმოების დროს საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩუმი—მალულია, ის საიდუმლოებითაა გარემოცული. მწარმოებელი განვითარების პირველ საფეხურებზე საჭიროებს მონოპოლიას, იგი ვერ ბედავს აშკარათ გამოვიდეს „ბრძოლის ველზე“, როგორც ეს ხდება კაპიტალისტურ წარმოების დროს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას ოდნავათაც ვერ შეაჩერებს. ის სულ წინ მიექანება და დღეს თუ ხვალ „კონკურენციაც“ თავს იჩენს. მეტოქეობა მწარმოებელთა შორის თანდათან მწვავდება. თვითოეული მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება ბაზარზე მეტი საქონელი გამოიტანოს, და ამას შედეგათ ყვება ის, რომ საქონელი ახლო ბაზარზე აღარ საღდება. საქონელი საჭიროებს შორეულ ბაზარს. საქონლის გადასატანათ კი უცნობ ალაგას საჭიროა ფული და გამოცდილება. ერთიც და მეორეც იშვიათი საშოვნელია პატრიარქალურ წარმოების დროს, აი სწორეთ ამ „საერთო გაჭირების“ დროს თავსა ყოფს „ჩარჩი“, ის ჩემულობს შუამავლობას ბაზარსა და მწარმოებლის შორის. ამიერიდან ისპობა წვრილი ხელოსნის „დამოუკიდებლობა“, მისი ბედ-იღბალი ჩარჩის ბრჭყალებშია. მართალია ეს მოვლენა არასასურველია, მაგრამ მას თავისი დადებითი მხარეც აქვს. საქმე იმაშია, რომ ჩარჩი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელია და ამ უკანასკნელს (კაპიტალს) მის მეოხებით შეაქვს სოფელში თავისი გავლენა. ამ დროს „წვრილი ხელოსნობა სრულიად ისპობა: იგი იცვლება შინა-მრეწველობით. ეს უკანასკნელი წარმოებითი ფორმა იმით დგას ხელოსნობაზე მაღლა, რომ პირველში შრომა უფრო დანაწილებულია; ამას კი შედეგათ მოსდევს საწარმოვო ძალების განვითარება. ამის გარდა წვრილი მრეწველი (кустарникъ) სისტემატიურათ ამზადებს ნივთებს ბაზარზე გასატანათ, ხელოსანი კი—შემთხვევით, როდესაც მას მყიდველი შეუკვეთს. ყველა ამ უპირატესობის მიუხედავათ, წვრილი მრეწველი ჩარჩის ხელშია. სოფლის მრეწველმა გააფართოვა თავის წარმოება და მისი გაძღოლა კი ვეღარ შესძლო. გაფართოვებულ წარმოებას სჭირია „ფართო კაპიტალიც“. ამ უკანასკნელის პატრონი სოფელში ჩარჩია. სოფლის მრეწველს, რა-კი მან ერთხელ შეტოპა საქონლის გაცვლა-გამოცვლის მორევში, უკან გამობრუნება აღარ შეუძლია. მას სურს დაამზადოს ბაზრისთვის საქონელი და ფულის უქონლობის გამო მასალის ყიდვა არ შეუძლია. ის იღებს ვალს ჩარჩისგან, ან არა და ამუშავებს იმ მასალას, რომელსაც ყიდულობს მრეწველისთვის ეს უკანასკნელი (ჩარჩი). ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც მრეწველი კარგავს დამოუკიდებლობას. სოფელი ფაქტიურათ ჩარჩის ხელში გადადის. სავაჭრო კაპიტალის მოქმედება სოფელში ძლიერდება. შრომის განაწილება სოფელში აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს. სოფლის წარმოება ახალ ხანაში გადადის. შინა-მრეწველობა „მანუფაქტურით“ იცვლება. წვრილი მესაკუთრეები თავს იყრიან სავაჭრო კაპიტალის პატრონის გარშემო. (ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვით ან „ჩარჩია“, ან შემთხვევით გამდიდრებული მესაკუთრე). მათ უამისოთ სიცოცხლე არ შეუძლიათ. კაპიტალის პატრონი დიქტატორია მანუფაქტურულ წარმოებაში. „დიდი სამრეწველო სოფელი ვორონცოვკა (პავლოვის მაზრა, ვორონეჟის გუბ.), სწერს ვლადიმირ ილინი, ხის წარმოების მანუფაქტურას წარმოადგენს. აქ შინა-მრეწველობას 800 კომლი მისდევს. ესენი ამზადებენ ეტლებს, ტარანტასებს, თვლებს, ზანდუკებს და სხვ. ამათში დამოუკიდებელი მესაკუთრე $^{1}/_{3}$-ზე ნაკლებია... გლეხების უმეტესობა დაქირავებულია გლეხ-ვაჭრებისაგან; მუშებს ხაზეინების ვალი აწევთ და მძიმე მუშაობით გატანჯულები არიან“ *).

რა გავლენა იქონია მანუფაქტურამ წვრილ მესაკუთრეებზე? როგორია მისი მოქმედება მეურნეობაზე? ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ წვრილ მესაკუთრეებმა ვერ შესძლეს სავაჭრო კაპიტალთან ბრძოლა და მიყვეს ხელი დაქირავებულ შრომას. მათ საკუთარი ძალით ვერ განავითარეს წარმოება და ამოაფარეს თავი „ხაზეინის“ მანუფაქტურას. მანუფაქტურამ გაანაყოფიერა ადამიანის შრომა, მან განავითარა ცალ-ცალკე, სპეციალიზაციის საშვალებით, მეურნეობის სხვა და სხვა დარგები. მანუფაქტურამ შექმნა ის მატერიალური პირობები, რომელსაც მოჰყვა ფაბრიკის დაარსება სოფელში. ყველა იმ დაქსაქსულ ძალებს, რომელნიც წინეთ ცალ-ცალკე მოქმედებდენ, მსხვილმა კაპიტალმა თავი მოუყარა ერთ ჭერ-ქვეშ—ფაბრიკაში და გააჩაღა კაპიტალისტური წარმოება. ამ დროს მთლათ შეირყა სოფლის წვრილი მრეწველობა. მან დაკარგა თავის ეკონომიური მნიშვნელობა და დაადგა გადაგვარების გზას. შინა-მრეწველებმა ვერ გაუძლეს მსხვილ კაპიტალისტის მეტოქეობას და მატერიალურათ უკან ჩამორჩნენ. თუ როგორ უნუგეშოა დღეს შინა მრეწველის მდგომარეობა, ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის შემდეგი ქვემოთ მოყვანილი ციფრები: *) ხვალინის მაზრაში, პ. მასლოვის სიტყვით, შინა მრეწველები დღიურათ იღებენ თავის წარმოებიდან:

| | | |
|---|---|---|
| მეკალათეები | 28,5 | კ. |
| ნიჩაბის გამკეთებელნი | 33 | „ |
| მექალამნეები | 3 | „ |
| მეეტლეები | 23 | „ |

*) იხ. „გრიგალი“ № 3.

**) ეს წერილი ჩვენი გაზეთის მე-3 ნომერში დაბეჭდილ ფელეტონის წინ უნდა დაბეჭდილიყო.

რედ.

*) „Капиталъ“ т. III, 2, 667 К. Маркса.

*) იხ. „Капиталъ“ К. Маркса т. III, 2 გვ. 672.

*) „Развитіе капитализма въ Россіи“, Вл. Илина, გვ. 310.

*) იხ. „Крестьянинъ и рабочій“, П. Маслова, გვ. 28.

ხალიები ადგილობრივ ფრაქციებათ არ შეერთდებიან. „ექსპროპრიაცია“, პარტიზანული თავდასხმა პატარ-პატარა პოლიციელებზე და სალდათებზე სიეზდმა დაგმო. ამ ქამათ ბუნდის წარმომადგენლებს რუს. ს.-დ. პარტიის ც. კ—ში გადამწყვეტი ხმა აქვთ.

# ახალი ამბები

გუშინ ქუთაისის სატუსაღოდან მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს აფიცერი **დათიკო ქარცივაძე**, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ გურიაში დაიჭირეს, როგორც პოლიტიკური დამნაშავე.

◆ ამ დღეებში მეტეხის ციხიდან **არხანგელის გუბერნიაში** ორი წლით გზავნიან: ვასილ მირიანაშვილს, ალექსანდრე და კოსტა ვაშაკიძეებს.

◆ ჩვენ რედაქციაში შემოვიდა საფაროვის თამბაქოს ქარხნის ერთი მუშა და შემდეგი გადმოგვცა: მიხაილოვის ქუჩაზე ად. ფინკის საკანდიტეროში მსახურებს თურმე ერთი ვიღაც ვაჟბატონი, რომელიც **საზიზღრათ ექცევა** იმავ საკანდიტეროში **მოსამსახურე პატარა ბიჭს**. მუშები სთხოვენ ამხანაგებს ზომები იხმარონ ამ მხეცის ასალაგმავათ.

◆ **თფილისში დაბრუნდენ** და მუშაობას შეუდგენ ტრამვაის შემდეგი მოსამსახურენი: კონტროლიორები ჩეტირკო და ნიკულინი, კონდუქტორი ალნიევი; ვატმანები კოჩურინი, სიმონიში, სელლეცკი, ლემენშუკი, ტრამვაის ცენტრალურ სადგურის მემანქანის თანაშემწე მალ. გიორგობიანი და სხვა, სულ 13 კაცამდე. ჯერ არ ჩამოსულა ოთხი კაცი: კონდუქტორები—ფრუიძე, თურქაძე და კასაშვილი და ვატმანი თედოშვილი. ამათ ჩამოსვლისთანავე მიეცემათ ადგილი.

◆ გუშინ დილით პოლიციამ და ჯარმა **ნაძალადევში** რამდენიმე სახლი გ. ჩხრიკა. დაიჭირეს სანაძე, წყალობ სოლოღაშვილი, სტეფანიანცი, ქვრივიშვილი და სხვ. სულ რვა კაცამდე. ზოგიერთ ამათგანს იარაღი უნახეს.

◆ როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, ქალაქის უსაქმოთ დარჩენილ **სტუდენტებს** შემწეობათ უნივერსიტეტებში წასასვლელათ 600 მანეთი მიეცეთ. ამ ფულის დანაწილება კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას მიენდო. გამგეობამ გამოიკვლია სტუდენტების მდგომარეობა და 22 კაცს, 510 მანეთი მისცა, 2-ს უარი უთხრა, როგორც შეძლებულებს, ხოლო ოთხის შესახებ ჯერ არაფერი დაუდგენიათ.

◆ **ერევნიდან** ტფილისში გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღეს: „სპარსეთში კონსტიტუციის შემოღების გამო ერევნიდან სპარსეთის ქვეშევრდომ სომხთაგან შაჰის სახელზე გაგზავნილ დეპეშაზე შემდეგი საპასუხო დეპეშა მოვიდა:—თქვენი პატივცემული დეპეშა შაჰინ-შაჰს მოხსენდა. მისმა უდიდებულესობამ სრული კმაყოფილება განაცხადა და ბრძანა მადლობა გამოგეცხადოთ და დაგიჯეროთ, რომ მისი მოწყალება არ მოგაკლდებათ“.

◆ **თემირ-ხან-შურიდან** იტყობინებიან, რომ იქ 13 სექტემბერს ერთ სომეხს მძიმეთ დაუჭრია მღვდელი პარემუზიანცი.

◆ **ბაქოდან** გვატყობინებენ, რომ „სტუკენისა და ამხ.“-ის სავაჭრო სახლს აქას წინეთ წერილით მიმართეს, 9 სექტემბრისთვის სავაჭროში ფული დაეხვედრებინათ. ამ დღეს პოლიციამ ზომები მიიღო და „სტუკენის“ სავაჭრო სახლში გადაცმული პოლიციელები გაგზავნა. ამ უკანასკნელთ მოახერხეს ერთი კაცის დაჭერა, რომელიც ფულის წასაღებათ მივიდა. იგი აღმოჩნდა ზანგეზურის მაზრის, ს. იაჯის მცხოვრები ნიკოლოზ გრიგორიანცი.

◆ 9 სექტემბერს, დილის 11 საათზე **ბათუმში** ინჟენერ ალბერტ ლოტერმა ხაზინიდან 300 მანეთი ფული მიიღო და ის იყო თავის ბინაში, სასტუმრო „იმპერიალში“ მიჰქონდა, რომ ამ დროს მას 3 შეიარაღებული უცნობი დაეცა. ლოტერს დაეხმარენ ვიღაც სვანიძე და მესაათე როზგოვიჩი, მაგრამ უცნობებმა ესენი ბებუთით დასჭრეს, 300 მანეთი გაიტაცეს და უგზო-უკვლოთ მიიმალენ.

◆ 11 სექტემბერს, დილის 11 საათზე **განჯის სადგურის** მახლობლათ ვიღაც უცნობმა ტყვიით მძიმეთ დასჭრა მუშა მამედ-ალი-ფირი-ოღლი. ფირი-ოღლი ბაქოს რკინის გზის ლაზარეთში გაგზავნეს.

◆ ამას წინეთ გორის მაზრის **სოფ. დიმიანთ-კარში** თავს დაესხმინ ძმ. დემეშვილებს. წაურთმევიათ 450 მანეთი ფულათ და სხვადასხვა ნივთები.

◆ 11 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ელექტრონის ტრამვაის ვაგონიდან **მიხეილის ქუჩაზე** ჩამოვარდა მე-16 გრენადიორთა მინგრელსკი პოლკის ჯარის-კაცი ვასილ ლოგინოვი, რომელსაც ვაგონმა მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. ლოგინოვი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

◆ 11 სექტემბერს თფილისის სადგურზე **მატარებლის ქვეშ** ჩავარდა მე-156 განჯის ქვეითა პოლკის ჯარის-კაცი ილარიონ შოროვსკი, რომელიც მატარებელმა შუაზე გაწყვიტა.

◆ ამ რამდენიმე თვის წინეთ უბნის ზედამხედველმა **მონასტირსკიმ** საქმით შეურაცხყოფა მიაყენა გიმნაზიელს ბაღატუროვს. ბაღატუროვის მშობლებმა საჩივარი აღძრეს ამის შესახებ. საოლქო სასამართლომ დამნაშავეთ სცნო მონასტირსკი და სამი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა. საოლქო სასამართლოდან ეს საქმე შემდეგ პალატაში გადაიტანეს, რომელმაც სრულიად გაანთავისუფლა მონასტირსკი. პროკურორის ამხანაგმა ბ-ნმა ნიკულინმა ეს საქმე სენატში განასაჩივრა. სენატმა იგი გასარჩევათ პალატას გადასცა, რომელმაც ეს საქმე 12 სექტემბერს გაარჩია ხელმეორეთ. პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს უწინდელი განაჩენი.

◆ **ქალაქის ამბები.** 11 სექტემბერს ორმოში ჩავარდნილა მე 2 პეტროვის ქუჩაზე მცხოვრები ეგორ ნედოსპეევი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.—10 სექტემბერს ოლგინის ქუჩაზე გიორგი ხერხეულიძის მაღაზია გაუტეხიათ და 25 მანეთის სხვადასხვა ნივთი გაუტაცნიათ.—11 სექტემბერს აკიმოვის ქუჩაზე 7 შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა ის. ბერმანს. წაიღეს 180 მანეთი ფულათ და ნივთები.—იმავე დღეს, დილის 9 ნახევარ საათზე ვორონცოვის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ვეზიროვის სახლს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო. ცეცხლის ჩაქრობის დროს დაშავდა მოსამსახურე ზახაროვი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.—იმავ დღეს ღამით ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ გაუძარცვავთ ალ. ფარსადანოვის ფეხსაცმელების მაღაზია: წაუღიათ ფულის ყუთი და 1800 მანეთი ფულათ. ფარსადანოვმა ეჭვი თავის ყოფილ მოსამსახურეზე მიიტანა, რომელიც პოლიციამ საჩქაროთ დააპატიმრა.—ამავე დღეს დილის 4 საათზე რაზიეზჟის ქუჩაზე პოლიციელებმა: პოპოვმა და პონდარევმა დააპატიმრა ალ. დარჩიევი, რომელმაც სხვებთან ერთათ თითქოს იქავე მახლობლათ გრიკუროვის მაღაზიის გატეხა განიზრახა.

◆ გუშინ სამოსამართლო პალატის წევრმა ჩეხოვსკიმ ბრალმდებელთა თანადასწრებით გამოუცხადა **სასამართლოს განაჩენი** ერთი წლით ციხეში დაპატიმრების შესახებ მღვდ. იონა ბრიხნიჩევს და „გვოზდის“ რედაქტორს ა. ლანგეს.

◆ წელს ქუთაისის სავაჟო გიმნაზია შვიდმა მოსწავლემ დაამთავრა. აი მათი გვარები: დავით ღოღობერიძე, ვლადიმერ ჯუღელი, ვასილ ლორია, ალექსანდრე მავროპულო, აპოლონ სვანიძე და ალექსანდრე წულუკიძე.

---

სამუშაო დღე იქ უდრის 18 საათს. შეადარეთ ეს „შემოსავალი“ იმ სამუშაო ქირას, რომელსაც დიდი ქარხნის მუშები იღებენ დღიურათ და თქვენ მიხვდებით წვრილ ჟეურნეობის „სიცხოველეს“ (?!) „შინა მრეწველი, ამბობს ა. ვოლგინი, რომელსაც ფაბრიკანტი ან და მსხვილი კაპიტალის პატრონი ამუშავებს, ფაქტიურათ იგივე პროლეტარია, რომლის გაჩენისაც ჩვენს „ნაროდნიკებს“ ძალიან ეშინიათ“. როგორია ამ მრეწველის ეკონომიური მდგომარეობა, ამაზე ამხ. ვოლგინს საპასუხოთ მოყავს კ. ვერნერის სიტყვები: „რაც შეეხება ფეიქრებს (ТКАЧИ) და საერთოთ ყველა მუშებს, რომელნიც დაბალ ქოხებში ცხოვრობენ, მათი მდგომარეობა არ არის სახარბიელო. მათი შრომა უფრო იაფია, ვიდრე დიდი ქარხნების მუშების ხელფასი... თვითოეულ მქსოველის საშუალო დღიური შემოსავალი არ აღემატება 25—30 კ. ანუ 6—6 მ. 50 კ. თვიურათ; დიდი ქარხნის მუშები კი იღებენ თვიურათ 12—14 მანეთს“ *). მართალია სოფლის მრეწველს მიწაც მოეპოება, მაგრამ ეს ისე მცირეა, რომ იგი არავითარ შემოსავალს არ აძლევს თავის პატრონს, იგი მხოლოდ ზედმეტი ბარგია მისთვის. ამიტომ, როცა წარმოების შემოსავალი ცოტათ მატულობს, მრეწველი უმალვე ემშვიდობება თავის „უძრავ საკუთრებას“. თითო-ოროლა შეძლებული, რასაკვირველია, მათშიაც მოიპოება, მაგრა ესენი მალე ტოვებენ თავიანთ წარმოებას და სოფლის ბურჟუაზიის ბანაკში გადადიან. ხოლო გაღატაკებული უმრავლესობა ძალა-უნებურათ პროლეტარიატს უნდა შეუერთდეს. მაქსიმ კოვალევსკის გამოკვლევით რუსეთის 50 გუბერნიაში ყოველ წლიურათ 2,074,756 თავისუფალი მუშა ხელი რჩება. ესენი არიან გაპროლეტარებული წვრილი მესაკუთრეები, რომლიდანაც ნახევარი მიდის ქალაქში და იქ შოულობს სამუშაოს, ნახევარი კი რჩება უადგილოთ და ულუკმა-პუროთ *). შინაური მრეწველი პირველათ ვერ ურიგდება ამ გარემოებას, ის ებღაუჭება იმ მცირე საკუთრებას, რომელიც მას აბადია და ცდილობს ხელოვნურათ მის შენარჩუნებას. მაგრამ ამაოთ! ცხოვრების ტალღები მას სულ სხვა გზისაკენ მიაქანებს მოჯადოებული წრე, რომელშიაც წვრილი მესაკუთრე დიდხანს ტრიალებდა, უნდა გაირღვეს, მან უნდა გადმოხეთქოს ახალი საზოგადოებრივი ძალები... ამ ახალ ცხოვრებისა ეშინია წვრილ მწარმოებელს და თუმცა მას ერთი ფეხი იქ უკვე პროლეტარიზაციაში უდგია, მაგრამ მეორეს მაგრათ აბიჯებს იმ ალაგას, სადაც „კერძო საკუთრებაა“ აღბეჭდილი. მის გულში ნამდვილი ცეცხლი ტრიალებს: იქ იბრძვის კერძო მესაკუთრე და პროლეტარი, და ამ ბრძოლის შედეგია ის ტრაგი-კომედია, რომელსაც ყველგან წვრილი მესაკუთრე თამაშობს.

...Zwei Seelen vohnen, ach!
„in meinen Brust“.

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია იმ კლასისთვის, რომელსაც წვრილი მესაკუთრეები ეკუთვნიან. მკითხველს ეხსომება ის კითხვა, რომელიც ჩვენ ამ წერილის თავში დავსვით. იგი მდგომარეობდა შემდეგში: როგორია წვრილი მესაკუთრის ეკონომიური მდგომარეობა და ის მეურნეობა, რომელსაც ის აწარმოებს? ამ კითხვის გამოსარკვევათ ჩვენ განვიხილეთ კერძოთ შინაურ მრეწველობის ისტორია და საერთოთ კაპიტალის განვითარება სოფელში, კითხვის ასეთი პასუხი ჩვენ აუცილებლათ და საჭიროთაც მიგვაჩნია, ვინაიდან შინაურ მრეწველობის განვითარების ისტორია არის იმავე დროს საშუალო კლასის ისტორია. მკითხველმა დაინახა, რომ ეს კლასი, რომელსაც უმთავრესათ წვრილი მესაკუთრეები შეადგენენ, მეურნეობის პატრიარქალურ ხანაში სრული დამოუკიდებელი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც რომ კაპიტალი ჩარჩის წყალობით სოფელში კონტრაბანდათ შეიპარა, ამ კლასმაც დაკარგა თავის მთლიანობა. ის ორ ნაწილათ გადირღვა და კიდეც მოისპო, როგორც ისტორიული კლასი. უმცირესი ნაწილი ბურჟუაზიის ბანაკში გადავიდა, ხოლო უმრავლესობა პროლეტარიატის რაზმში ჩაეწერა. მართალია ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ის პროცესი, რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, არ შეჩერდება შუა გზაზე: ის ლოღიკურ განვითარების უმაღლეს წერტილამდის მიექანება. მაშასადამე, წვრილი მესაკუთრეების არსებობა, სრულიადაც არა სპობს სოფელში კლასთა ბრძოლას: იგი აღრმავებს და აძლიერებს ამ უკანასკნელს. წვრილი მესაკუთრეები ძალას მატებენ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს და ამით ხელს უწყობენ იმ ანტაგონიზმის გაძლიერებას, რომელიც მათ შორის არსებობს. ამ პროცესის დროს კვდება თვით მესაკუთრე, როგორც მესაკუთრე, და ის მეურნეობა, რომელსაც იგი აწარმოებს, წარმოების ახალ ფორმებში ითქვიფება. ამნაირათ ეს საშუალო კლასი გადაგვარების გზას ადგია და ერთხელ არჩეული გზით ის სულ წინ-წინ მიექანება. და „სანამ არსებობს კაპიტალისტური წესწყობილება, არ მოიპოება არსად ისეთი ძალა, რომელიც გამოიხსნის წვრილ მესაკუთრეს გაჭირვებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოშობილია თვით საზოგადოების განვითარებით.“ *) ამიტომ ვინც ოცნებობს წვრილ მეურნეობის აყვავებაზე, ის საზოგადოების განვითარების მტერია, ვინც ცდილობს აღმოუჩინოს შემწეობა წვრილ მესაკუთრეს, როგორც მესაკუთრეს, და არა როგორც პროლეტარს, სოციალისტობას ტყუილათ ჩემულობს: ის მუდამ დარჩება წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგათ.

**დ. ონიაშვილი.**

*) იხ. „Обоснованіе народничества въ трудахъ Г-на Воронцова“, А. Волгина. გვ. 230—231

*) იხ. „Экономическій строй въ Россіи“ М. Ковалевскаго. გვ. 109.

ხელმძღვანელ... კონომიურ, ისე პოლ...
*) „K: ასე დაემართა ზუბატოვ... Франціи и Германіи, ასეთივე ბედი ელის უშაკ... Г. Плеханова, გ... ბასაც.
ლეო.

## მუშათა მორის.

**აფთიაქის სკლადებში მოსამსახურეთა მოთხოვნები.** ჩვენ, აფთიაქის საწყობების მუშებმა, განვიხილეთ რა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, დავადგინეთ: წარვუდგინოთ ჩვენს ხაზეინებს ქვემოთ აღნიშნული მოთხოვნები და მივცეთ მათ ათი დღის ვადა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლათ.

1) გაიღოს მაღაზია დილის 8 საათზე და დაიხუროს საღამოს 7 საათზე. 2) გაუმჯობესდეს იმ მსახურთა ბინები, რომლებიც ხაზეინებთან ცხოვრობენ და ბინის უმადური არიან და ან მიეცეს მათ ბინის ფული ამგვარათ: შეგირდებს 3 მან. და ნოქრებს 8 მანეთი თვეში. 3) მიეცეს სადილისათვის შეგირდს 30 კაპ., ნოქარს 50 კ. 4) სადილისათვის საათნახევარი დრო. 5) მოემატოს ჯამაგირი: ვინც 5—10 მანეთამდე იღებს 50%, ვინც 15—30 მ.—40%, ვინც 30—50 მანეთს—25%, ხოლო ვინც 50—100 მან.—10%; 6) ზრდილობიანი მოპყრობა ორივ მხარეებისაგან; 7) მსახური, რომელსაც ერთი წელიწადი უმსახურია, სარგებლობს ერთი თვის თავისუფლებით ადგილისა და ჯამაგირის შენახვით. 8) უფასო ექიმობა გარდა ვენერიული ავათმყოფობისა. ავათმყოფობის დროს მსახურს შეენახოს ადგილი და ჯამაგირი 3 თვის განმავლობაში: პირველ თვეს სრული ჯამაგირი, ხოლო დანარჩენ ორ თვეს ჯამაგირის ნახევარი. 9) გაფიცვის დროს სრული ჯამაგირი და აგრეთვე სადილის ფული, როგორც ეს მესამე მუხლშია აღნიშნული. 10) შეგირდათ მიღებულ არ იქნას 15 წლისაზე ნაკლები და წერა-კითხვის არ მცოდნე. შეგირდს დაენიშნოს თვიურათ არა ნაკლებ 5 მანეთისა. 11) მოისპოს უფასოთ სამსახური. 12) თუ ხაზეინი თავისი სურვილით დაითხოვს მსახურს, ვალდებულია მისცეს სამი თვის ჯამაგირი, თუ მას სამ წელიწადზე მეტი არ უმსახურია. თუ მეტი უმსახურია, მაშინ მიეცეს თითო ზედმეტ წელიწადზე თითო თვის ჯამაგირი. 13) ყოველ უთანხმოების მოსაწესრიგებლათ ხაზეინ-მოსამსახურეთა შორის ინიშნება სამედიატორო სამართალი.

**ორი პოლიტიკური გაფიცვა ბაქოში.** სრული ორ თვე-ნახევარია, რაც ბაქოში როტშილდის, ნობელის და ხუთ ინგლისის ქარხნებში ეკონომიური გაფიცვა გძელდებოდა. მუშათა მოთხოვნები უმთავრესათ მათ ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხებოდა. ამ ორი თვის განმავლობაში, მუშების მხრით არავითარი ძალ-მომრეობა არ მომხდარა; მაგრამ აი გენერალ-გუბერნატორმა განკარგულებაც გამოსცა, რომლითაც კაპიტალისტებს უკრძალავდა მუშებისთვის გამცდარი დღეების ქირის მაცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამი ათასი მანეთის ჯარიმით ან სამი თვის ციხეში ჯდომით ემუქრებოდა. ამით გ.-გუბერნატორს უნდოდა მუშები შეეშინებია და სამუშაოზე გამოეყვანა, მაგრამ მისმა ხერხმა არ გასჭრა და მუშები განაგრძობდენ შეუპოვარ ბრძოლას.

როგორც ყველგან, ისე აქაც, გაავთრებულმა რეაქციამ შობა ეგრეთ წოდებული საზოგადოების ნაძირალები, რომლებიც მაშინ ჩაერიენ საქმეში, როდესაც, გ.-გუბერნატორის განკარგულებით შეიდასამდე კაცი დააპატიმრეს და რამოდენიმე კიდეც გაგზავნეს სამშობლოში. ამ ვაჟბატონებმა დაიწყეს აგიტაცია შეუგნებელ მასაში რასაც შედეგათ მოყვა ინგლისის ქარხნებში მუშაობის დაწყება. დანარჩენები კი დღესაც გაფიცული არიან. რას აკეთებდა ამ დროს ბაქოს ს. დ. ორგანიზაცია, იკითხავთ. 23 და 24 აგვისტოს გაცხარებული მუშაობა იყო ბაქოს ყველა რაიონებში, სადაც გადასწყვიტეს ოცდა ხუთ აგვისტოს ორი დღით საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადება. 25 აგვისტოს გამოვიდა ფურცლები, ამ შინაარსის: „იმისთვის, რომ გ.-გუბერნატორის განკარგულებით ატუსაღებენ და ეტაპით აგზავნიან მშობლიურ გაფიცულ მუშებს, რომ დაიჭირეს უმუშევართა ბიუროს თავმჯდომარე, იმისათვის, რომ ჟანდარმთა პოლკოვნიკმა მოინდომა დაჭერილ ამხანაგის ცოლის გაუპატიურება, რომელიც მივიდა ნებართვის ასაღებათ, რომ ციხეში თავისი ქმარი ენახა, მოვითხოვთ: მოხსნილი იქნას გენერალ გუბერნატორის განკარგულება. მიცემულ იქნას სამართალში აღნიშნული პოლკოვნიკი და განთავისუფლდეს დაჭერილი ამხანაგები.“ ეს ფურცლება საშინელის სისწრაფით მოედვა ბაქოს ყველა რაიონს და კიდე უფრო გავრცელდებოდა, რომ ერთგარემოებას ხელი არ შეეშალა. ეს იყო სომხების „დაშნაკცუტუნის პარტიი“-ს მოქმედება. ეს პარტია გაფიცვისათვის მომზადებულ ხალხთან საბრძოლველათ გამოვიდა. დაშნაკელები პირდაპირ პოლიციის როლს ასრულებდნენ. უკვე გაფიცულ სომეხის პროლეტარიატს სამუშაოზე აბრუნებდნენ. იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჩვენს ამხანაგებს ან პოლიციას უგდებდნენ ხელში, ან თვითონ დაესხოდნენ და ცხვარ ჰორს ამტვრევდნენ. ეს ყველა იმისათვის, რომ რ. ს. დ. მ. პარტია არ შევიდა მასთან მოლაპარაკებაში გაფიცვის შესახებ. მიზეზი იმასა, თუ რისთვის არ მოახდინა ს. დ. პარტიამ დაშნაკელებთან მოლაპარაკება, არის ისა, რომ აღნიშნული პარტია არ არის მუშათა ინტერესების დამცველი, ის იცავს ბურჟუაზიას, რაც ასე ნათლათ დაამტკიცა თავისი უკანასკნელი მოქმედებით. დროა, სომეხის პროლეტარიატმა გაიღვიძოს და იცნოს თავისი მტერ-მოყვარე, იცნოს, თუ ვინ იცავს მის ინტერესებს და ვინ ებრძვის მას, თორემ გვიან იქნება. გაფიცვამ მაინც მშვენივრათ ჩაიარა და დიდი გავლენა იქონია, როგორც ხალხზე, ისე თვით მპყრობელ გუბერნატორზედაც. ორი დღის შემდეგ გაფიცვა მოიხსნა და ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ის ის იყო მთავრობას აეწყებოდა წინანდელი გაფიცვის ქარცეცხლი, რომ სწორეთ ამ დროს იფეთქა ბაქოში მეორე პოლიტიკურმა გაფიცვამ. მიზეზი ამ გაფიცვისა შემდეგში მდგომარეობდა: მთავრობა დაიმედებული იმით, რომ ხალხი მუშაობას შეუდგა, დაიმედებული იმით, რომ წინანდელს გაფიცვაში „დაშნაკცუტუნის“ პარტია მას ეხმარებოდა, ის შეუდგა მზადებას 11 მატროსის დასასჯელათ, რომლისთვისაც იყო დანიშნული 4 ენკენისთვე. მთავრობა დაიმედებული იმით, რომ ამას ვერავინ გაუგებდა და ვერავინ დაუშლიდა, შეუდგა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, მაგრამ არც ბაქოს პროლეტარიატს ეძინა. სამ ენკენისთვეს ყველაფერი გავიგეთ და ს. დ. ორგანიზაცია შესაფერ მზადებას შეუდგა. მაგრამ, რადგანაც გვიან იყო და არ შეიძლებოდა საზოგადოების შეკითხვა, სხვა პარტიებთან შეთანხმებით შეუდგა ფურცლების ბეჭდვას სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე. ოთხ ენკენისთვეს გაფიცვა საშინელის სისწრაფით მოედვა მთელ საზოგადოებას. ხალხი მზათ იყო შებრძოლებოდა იმ მთავრობას, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა 11 მატროსს. 11 კაცის სიცოცხლე დღეს ოთხი ან ხუთი აფიცრის ხელში იყო და ჩამოხრჩობას ემუქრებოდნენ. ეს მატროსები დიდი ხანია ციხეში ისხდნენ. 5 ენკენისთვეს ცხოვრება შესწყდა. ქალაქი უდაბნოს დაემსგავსა. მხოლოდ პოლიციის დამქაშები დადიოდნენ ქუჩებში, სხვა არავინ. ისინი თავზარ დაცემული დარბოდნენ ხან აქეთ და ხან იქეთ და დაეძებდნენ დამნაშავეს, მაგრამ ვერსად ვერ ენახათ. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ფლოტის მატროსებმაც და რკინის გზამ. გაფიცნენ აგრეთვე ტრამვაის მუშებიც. ასეთი ერთსულოვანი გაფიცვა ჯერ არ ახსოვს ბაქოს პროლეტარიატს. კოწია ა. მანჯგალაძე.

## პროვინციის ქრონიკა

**რაჭიდან** გვატყობინებენ, რომ იქ სოფ. წესში დარაჯმა კანთელაძემ დააპატიმრა გზათ მიმავალი ა. გო—ძე და ნ. ტორთშელიძე. მიზეზი დატუსაღებისა ის აღმოჩნდა, რომ მგზავრებს „შლიაპები“ ეხურათ. ამბროლაურის ბოქაულმა ორივენი გაანთავისუფლა, მაგრამ ადგილობრივ სწავლული დარაჯისათვის სიტყვაც არ უთქვამს. ალბათ ბოქაულსაც რიგზე ეშინია მათი.

**სოფ. უყვიბისიდან** გვატყობინებენ, რომ ეს სოფელი დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი უგზოობის გამო. ძველი სასოფლო გზა რკინის გზას წაურთმევია და სამაგიეროთ ახალის გაკეთებას შეპირებია. გაუკეთებიათ გზა, მაგრამ ურემი ვერ გაივლის. ახლა ისევ შეპირებიან გზის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ შეპირების ასრულებას ბედნიერი კაცი მოესწრება. ადგილობრივი სკოლაც უყურადღებოთ ყოფილა მიტოვებული, თუმცა სწავლის მსურველთა რიცხვი საკმაოა.

**ჭიათურას** ახალი კაზაკები ესტუმრენ. ძველების გასაცილებლათ ზოგიერთმა ვაჭბატონებმა ფულების მოგროვებას მიუყვეს ხელი, რომ გამოსათხოვებელი სადილი გაემართათ. თოხმა კაცმა ძლიერ ისახელა თავი. ფულისთვის ძალით უვარდებოდნენ სახლებში და ისე გამოქონდათ და თუ ვინმე გაუძალიანდებოდა, ან არ მოეწონებოდა ასეთი საქციელი, ლანძღვა-გინებასაც უხვათ ხარჯავდნენ. ერთ მეპურეს დახლიდან ძალით ამოართვეს 30 კ.. ნეტა ვისგან მოელიან მადლობას ეს ერთგული ემაწვილები?

**ს. მეტეხის** მცხოვრებთ დაუდგენიათ: „მწარე გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მუშებსა და გლეხკაცობას არ გვყოლია მფარველი; რომ ჩვენი მთავრობა, რომელსაც ქრისტეს მოციქულათ მოაქვს თავი, ფარისეველი და ხალხის ორგული ყოფილა, რაც დეპუტატების გარეკით ნათლათ დაგვიმტკიცა, ჩვენ გადავსწყვიტეთ ჩვენვე ვეპატრონოთ ჩვენ თავს და საკუთარი ძალით აღვადგინოთ სამართალი“. გლეხებმა დაასრულეს ნიხრი: კოდ პურზე 3 მან. 40 კ., სიმინდზე 2 მანეთი, ქერზე 1 მ. 60 კ. სოფლის დარაჯს დაუნიშნეს კომლზე წელიწადში ჩანახ ნახევარი ხორბალი, გამოიყვანეს ნავი, რომელიც დღემდე კერძო კაცს ეკუთვნოდა. მინდვრის მოკვლით ხალხი ძლიერ არის აღელვებული.

**ს. ზანათიდან** (სამეგრელო) გვატყობინებენ, რომ იქ ეს ერთი კვირაა განუწყვეტლივ წვიმს, რამაც სრულიად გააფუჭა ისედაც უვარგისი ჭირნახული. წვიმისგან მდინარეებიც ადიდდა და ნაპირები წალეკა. ხალხს შიმშილობა მოელის. ასეთ დროს მთავრობის ოპრიჩნიკები გადასახადებზე ლაპარაკობენ.

**ოდესა.** 31 აგვისტოს კრება ქონდათ სტუდენტებს შესახებ სწავლის განახლებისა. სოც.-რევ. სტუდენტთა ჯგუფმა დაადგინა: დაიწყონ სწავლა, მოემზადონ და ასე მომზადებული გამოვიდნენ ხალხში სამუშაოთ. სოც.-დემოკრატ სტუდენტთა ჯგუფმა დაახლოებით შემდეგი შინაარსის დადგენილება გამოიტანა: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 1) სტუდენტობა, როგორც დასავლეთ ევროპის, ისე რუსეთის რევოლიუციაში ერთი თვალსაჩინო მებრძოლი რაზმია, 2) რომ უნივერსიტეტებს ამ ჟამათ არ შეუძლიათ განაგრძონ მარტო სწავლა, არამედ უნდა იყვნენ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრათ, 3) რომ იმ მხარეში, სადაც სამხედრო დიქტატურაა გამოცხადებული სტუდენტობას არ შეუძლია და არც უნდა ისარგებლოს მთელი ხალხის მიერ მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებით, 4) რომ აუცილებლათ საჭიროა სტუდენტობის მჭიდრო ორგანიზაცია და ამას კი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის გახსნა, 5) რომ უნივერსიტეტს შეუძლია იწარმოვოს მხოლოდ მაშინ, თუ პოლიცია არ ჩაერევა მის საქმეებში.

ჩვენ ვხსნით უნივერსიტეტს, 1, რომელსაც თავის კერძო ცხოვრებაში უნდა ქონდეს სრული ავტონომია. 2, რომელშიაც ადგილი უნდა ქონდეს შეუზღუდველ კრებებსა და მიტინგებს. ამასთანავე კრებების ხელმძღვანელობა ეკუთვნის მხოლოდ სტუდენტებს და მათ ხელმძღვანელ ორგანოს.

ამ გვარათ უნივერსიტეტი გაიხსნა.

**ბათუმი.** არსად ისე უმზგავსოთ არ არის გაზეთის გავრცელების საქმე დაყენებული, როგორც ბათუმში. ერთად-ერთი ქართული გაზეთი („ივრიგალი“) მოგვდის და ბედნიერი კაცია, ვინც სადმე გადაეყრება და შეიძენს. მთელს ქალაქში სულ ორი დამტარებელია; ერთხელ ჩამოივლიან ქუჩაზე და თუ გადაეყარე სადმე, ხომ კარგი, თუ არა და დარჩები უგაზეთოთ. ვთხოვთ ადგილობრივ აგენტს რიგორმე მოაწესრიგოს ეს საქმე და შეძლება მოგვცეს გაზეთის ყიდვისა.

## პროვინცია.

**ჯვარცხმა** (გურია). ჯვარცხმელებსაც ისე აწიოკებენ პოლიციის მოხელენი, მემამულეები და სოფლის წერილები, როგორც სხვა სოფელს, მაგრამ ორმა პირმა ამ სოფლის მცხოვრებნი დიდ განსაცდელში ჩააგდო და შავი დღე დააყენა. ეს ორი პირი გახლავს თ-დი ვარლამ მიხეილის-ძე ერისთავი და მიხეილ ოქროპირის-ძე გლენტი.

პირველმა, ერისთავმა, რუს-თათრის ომის დროს (1878—1879 წ.წ.) ისარგებლა ხალხის შეუგნებლობით, შეადგენია საზოგადოებას განაჩენი, რომ ის თავიანთი ქონებით პასუხისმგებელია გარდამ ერისთავის მაგიერ ყოველივე სავაჭრო საქმეში და შეეკრა კონტრაქტში რუსის მთავრობას პრავიანტის გადაზიდვაშა; ზალოგის მაგივრათ წარადგინა სოფლის განაჩენები *), როგორც ჯვარცხმის, ისე სამი სხვა საზოგადოების; აიღო ფული მთავრობისაგან და მოუგა თავდებ ქეიფს; საქმე კი არ შეუსრულა მთავრობას. მთავრობა სოფლელებს მისდგა და თანხმათ მათი განაჩენისა, გადაახდევინა რამოდენიმე ათი ათასი მანეთი. ნაწილი ამ ფულებისა დღესაც გადაუხდელი არის; მახსოვს, როცა სოფლის მოხელენი სახელმწიფოთ და სხვა ფულებს ბოჭავდნენ, „ვარლამის გადასახადი“ ცალკე ხაზებში იყო მოხსენებული.

გლეხები ბევრს ეცადნენ, ეს გადასახადი თავიდან აეშორებინათ, გაასაჩივრეს მთავრობასთან და უმტკიცებდნენ მას, რომ თ-დ ერისთავს გადახდის საშვალება აქვს, რომ გლეხები მაშინ არაინ ვალდებული, უკეთუ ერისთავს არავითარი ქონება არ აღმოაჩნდება ვალის დასაკმაყოფილებლათო, მაგრამ ჩვენი სასამართლოების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, და გლეხების საჩივარსაც ის დაემართა, რაც ათასსა და ორი ათას ამისთანებს.

ვინ მოსთვლის რამდენი გლეხის ძროხა და ხარი, ქალის ნამზითვი ნოხ-ფარდაგი და კარდალ-ტაშტი არის გაყიდული ბ-ნ „ვარლამის გადასახადში“, მაგრამ ვარლამი არც ამას დაკმაყოფილდა. დაიწყო თუ არა გურიაში აგრარული მოძრაობა, ბ. ვარლამმა ხან ეხება საცოდვის მას ყურმოჭრილად მონებს, ხან ლობე დაანგრევია,

*) კანონის ძალით, ვისაც ფული არ აქვს, ზალოგათ ღებულობენ სოფლის განაჩენს; თითოეული კაცის ხელის მოწერას ღებულობენ ოცდა ათ მანეთში.
ავტორი.

ხან სახლიც კი დაწვევია, იმ განზრახვით, რომ სოფელს დააბრალებენ და ზარალს ერთი ორათ ამ.ნაზღაურებენო, მ.გრამ მოსტყუვდა საბრალო. ნიორის ფასიც არავის მიუცია კნიაზისათვის.

ნაკლები ზარალი არც ბ. მიხეილ ოქროპირიჩს მიუყენებია ხალხისთვის. ამ ვაჟბატონმა შეისწავლა სადაც კანონები, რომლითაც გლეხის გააზნაურება შეიძლება. გამოაკრა კარებზე განცხადება: „ვაკეთებ აზნაურობის საქმესო“, მოუვა სოფელ-სოფელ სიარულს და ეუბნებოდა გლეხებს: „თქვე საცოდავებო, ას და ორას მანეთს უოვგელ დროს მოახერხებთ და რისთვის არ გინდათ აზნაური გახდეთო“.

მსურველები აღმოჩნდნენ. მოურიგდნენ მიხეილს ფასზე და შეუდგნენ საქმეს. მიხეილმა თავის „შრომის“ ფასის გარდა ათასი სხვა ხარჯები მოიგონა: ეს მეტრიკების გამოტანისთვის, ეს თფილისში წასასვლელათ, ეს მარკების ფასათ, ეს კანტორის ჩინოვნიკებს, რომ გლეხის გვარი გადაამახინჯონ და აზნაურისას დაამსგავსონ, ეს პრისტავის პრაგონი, ეს ბლადჩინს და ხუცესს, და ასე დაუსრულებლათ. საწყალ აზნაურობის მაძიებელს კატის მეტი არაფერი დარჩენია გაუყიდავი. მიხეილი ამ ფულებით ქუთაისში ორ სართულიან სახლს აშენებს; ხოლო როცა სახარჯი შემოაკლდება, ჩამოდის სოფლათ და ეუბნება მომავალ აზნაურებს: ფული ბლომათ დამეხარჯა, მაგრამ მადლობა ღმერთს საქმეს მალე გადავრჩებითო. ამ პრწყინვალე წოდებას მოლოდინში აზნაურობის მაძიებელი ოჯახების გასათხოვარი ქალებიც არ თხოვდებოდნენ, იმ მოსაზრებით, რომ როცა აზნაურობას მივიღებთ, უფრო რიგიანი კაცი შეგვირთავსო. ამ ბედნიერ ლოდინში მიხეილმა კარგი სახლებიც წამოჭიმა და კარგი სახნავ-სათესი მიწებიც იყიდა და ვისი ფულითაც ეს მიწები შეიძინა, იმათ, წელს სანახევროთ აქვთ აღებული მიხეილისაგან საყანე.. (სხვა მემამულეები კი თანახმათ საზოგადო დადგენილებისა, სამეოთხედოთ აძლევენ. მიხეილ აქაც გამონაკლისს შეადგენს). გასულ წელში საყანე ადგილები მიხეილსაც სამეოთხედოთ ქონდა გაცემული, რადგან მაშინ „ახალთაობის“ კაცი იყო, მაგრამ ღმერთმა უშველოს, რომ „ახალი თაობა“ დაიხსნა ასეთი პირის წევრობასაგან!

მიხეილ რამოდენიმე წელიწადს ადგილობრივ სკოლის მზრუნველადაც იყო, მაგრამ თავის ჯიბისთვის უფრო ზრუნავდა, ვიდრე სკოლისთვის. დაუდგა მიხეილს ავდარი. გლეხებმაშ ეგონეს, რომ აზნაურობა იმდენი საჭირო არ ყოფილა ცხოვრებაში, რამდენათაც სწავლა-განათლება და გათვითცნობიერება. ახლა აზნაურობა კი არა, თავადობაც რომ მისცეთ, შაურს არავინ მოგცემს. ერთ მშვენიერ დღეს მიხეილს პირდაპირი მოთხოვნილება დაუყენეს: რადგანაც აზნაურობა აღარ გვალირსე, უქელაფერში მოგვატყუე და საცხოვრებელზე ხელი აგვალებიე, ჩვენი ფული დაგვიბრუნეო. მიხეილმა საქმის დაგვიანების მიზეზათ თითონ გლეხები დასახა: „თქვენ რომ ბუნტოვშიკობა არ დაგეწყოთ, აზნაურობა მზათ გექნებოდათო.“ გლეხები მაინც თავისას თხოულობდნენ. მიხეილმა დაინახა, რომ თუ გლეხები არ დააკმაყოფილა, ხიფათი ვერ აცდებოდა და შეპირდა ფულის მიცემას. დანიშნული ვადა კარგი ხანია გავიდა; ფული არსად ჩანს. გლეხებმა განუმეორეს მიხეილს თავისი მოთხოვნა წერილობით და მუქარაც ზედ დაურთეს. მაშინ მიხეილის სტუდენტმა შვილმა მოსწერა ქუთაისიდან გლეხებს: „მამაჩემი გაკმაყოფილებთ, მუქარას ადგილი არა აქვს“.

ახლა გლეხები და მიხეილ შეიკრნენ სამედიატორო სამართალში და კომასიაც აირჩიეს; მედიატორებისის გადაწყვეტილებას თავის დროზე გაცნობებთ. „ობოლი“.

## რუსეთის ამბები

**მთავრობის პარტია.** მთავრობას განუზრახავს თვისი საკუთარი პარტიის შედგენა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. პროექტის ძალით ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი ვალდებული იქნებიან ჩაეწერონ მთავრობის პარტიაში; პარტიის ყველა წევრებმა უეჭველათ განსაზღვრულ კანდიდატებს უნდა მისცენ ხმა. მაგრამ თვით მთავრობის წარმომადგენლებს უკვე ეჭვი შეპარვიათ, რომ ასეთი პარტიის დაარსება მიზანს შეესაბამებოდეს შემდეგ მოსაზრებათა გამო: ასეთი პარტია უადგილო შეიქნება, როგორც კი შეიცვლებიან მთავრობის სათავეში მდგომი პირები; ამას გარდა მოხელეებზე იმ ვალდებულების დაკისრება, რომ ხმა მისცენ განსაზღვრულ კანდიდატებს, ეს შეიძლება დანაშაულათ ჩაითვალოს სისხლის სამართლის ახალი კანონის ძალით, რომელიც დევნის არჩევნებზე ძალდატანებას.

**მთავრობას ბელგიიდან დაუბარებია ინსტრუქტორები პოლიციის გასაწვრთნელათ.** ბელგიელები გაცნობიან რუსეთის

*) სტუდენტის მოწერილი წერილი ხელთა გვაქვს.
ავტორი.

პოლიციის ავ-კარგიანობას და ძალიან დაუწუნებიათ იგი, განსაკუთრებით გაოცებულან პოლიციის მსხვილ მოხელეთა უზომოზარ ჯამაგირების გამო.

**სოც.-დემ. მებრძოლ ორგანიზაციის საქმე.** რიგაში ამ ჟამათ სამხედრო სასამართლო არჩევს სოც.-დემ. პარტიის მებრძოლ ორგანიზაციის საქმეს. სამ ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მოელის. მათი დანაშაულის დასამტკიცებლათ არა ყავთ არც ერთი მოწმე. მთელი ბრალდება დაფუძნებულია ბრალდებულთა მიერ პოლიციის ნაწილში ნათქვამ სიტყვებზე. სასამართლოში ისინი კადაჭრით უარყოფენ თავიანთ დანაშაულს. პოლიციის ნაწილში ბრალდებულთა „გამოტეხის“ საქმე ასე გამორკვეულა. სასამართლოში ერთ ბრალდებულთაგანს მორიგი აფიცერი იმ აფიცრათ უცვნია, რომელიც ხლება მათ პოლიციის ნაწილში ჩვენების ჩამოსართმევათ ვექილთა თავგამოდებით ხსენებულ აფიცრისათვის სასამართლოს ჩვენება ჩამოურთმევია. აფიცერს უჩვენებია: როგორც ბრალდებულნი ნაწილში მოვიყვანე, იქ ბრძანეს რადაც „სასამართლოს დარბაზში“ შეეყვანათ ისინი და მთელი „კანვოი“ გარეთ გამოგვიშვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მომესმა გულის გამგმირავი კივილი, თავი ვეღარ შევიკავე და შევვარდი დარბაზში. იქ პრისტავი ჩვენებას ართმევდა ბრალდებულთ. მის წინ იდგა ერთი მათგანი მთლათ გასისხლიანებული და დაჩეხილი. მე აღვშფოთდი და პროტესტი გამოვაცხადეო,

**ზარბაზნების მოტაცება.** როგორც გაზ. „სეგოდნიას“ გაუგია, პეტერბურგის პეტრეპავლოვის ციხის არსენალიდან სამი ზარბაზანი მოუტაცნიათ.

**სტოლიპინის ოტსტავკა.** დაჟინებით დადის ხმა, რომ სტოლიპინი სამსახურს თავს ანებებს. ბიუროკრატები მას მაგიერ კაცს ეძებენ მინისტრ-პრეზიდენტათ; ამბობენ—ისევ დურნოვოს დანიშნავენო.

**მოსკოვის პროფესიონალური კავშირები** ამ ჟამათ მეტათ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილან: ადმინისტრაციის ძალდატანებით სახლის პატრონები პირდაპირ კეტებით ერეკებიან მათ თავიანთი სახლებიდან და აღარ აძლევენ მათ ბინებს, რაც უნდა დიდ ქირას იძლეოდნენ.

**გლეხთა შორის. ყაზანის გუბერნიის** გლეხები, მთავრობის თავგამოდებული მეცადინეობის მიუხედავათ, უარს ამბობენ მიწათ-მფლობელობის გამწესრიგებელ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. „არ გავრეკეთ დუმას და მიწაც იქნებოდაო“, ეუბნებიან გლეხები მთავრობის წარმომადგენლებს. ასეთი სიტყვები მთავრობამ „კრამოლათ“ ჩამოართვა გლეხებს და რამდენიმე მათგანი თავისთან დაიბარა ჩასაგონებლათ. როცა ეს გლეხები შინ დაბრუნდნენ, სხვა გლეხებმა მაშინვე მოსძებნეს „დონოსჩიკები“ და თავის მხრივ გაუსწორდნენ მათ აგრეთვე „ჩასაგონებლათ“. ამ საქმეს გამოსაძიებლათ მოვიდნენ მთავრობის კაცები, მაგრამ ერილობამ გადაჭრით განაცხადა: „ეს სოფლის საქმეა, თქვენ ნუ ერჩებითო“. მთავრობის კაცები უკან გაბრუნდნენ.

**სტავროპოლის გუბერნიაში,** როგორც ვიცით, ამჟამათ დიდი არეულობაა. სხვათა შორის, ს. ალექსანდროვსკში შეტაკება მოხდა გლეხებსა და კაზაკებს შორის, მიზეზი იყო გლეხთა საყვარელ მოღვაწის როდიონოვის დატუსაღება. როცა გლეხები ისპრავნიკთან მივიდნენ განთავისუფლების მოსათხოვათ, ჩასაფრებულმა კაზაკებმა ზალპი მისცეს. ერთი გლეხი მოკლულ იქნა, ორი დაიჭრა. სოფ. ბლაგოდარნოში გლეხებს, რომლებსაც ვგრიანი ორგანიზაცია ქონიათ და მედგრათაც მოქმედებენ თურმე, იარაღი აუღიათ სტრაჟნიკებისათვის და ხელში ჩაუგდიათ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. ისპრავნიკს როგორც კი გაუგია ეს ამბავი, ქალაქში გაპარულა. ქალაქიდან გამოუგზავნიათ ოსები. როცა ეს „დამამშვიდებლები“ მოსულან, სოფელს ერილობა ქონია. ოსებს ჯერ ლაპარაკი გაუმართავთ გლეხებთან, მაგრამ მალე სროლა აუტეხნიათ მათთვის, მოუკლავთ ორი, დაუჭრიათ 12.—სოფ. პეტროვსკში პოლიციას დატუსაღებია მასწავლებელი და ერთი ვაჭარი, რომლებსაც მონაწილეობას აბრალებდნენ გლეხთა რევოლიუციონურ კომიტეტში. ამ ამბის გაგებაზე ხალხს ზარების რეკა აუტეხია. მოგროვილან და ციხისგან გამართულან დაჭერილთა გასათავისუფლებლათ. სოფლის მთავრობას დაუბარებია კაზაკები, მაგრამ ეს უკანასკნელები, როგორც კი მოსულან და გაუგიათ რაშია საქმე, უკან გაბრუნებულან სიმღერით. გლეხებს უკვე მოუხერხებიათ დაჭერილთა განთავისუფლება.—თუ რა თავზარ დამცემი ამბები ხდება ს. კოსტანტინოვსკში, ამაზე უკვე მწერდით.

**პოლტავის გუბერნიაში** გლეხები წელს ნაკლებათ იხდიან საიჯარო ფულს. ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული გლეხებსაც კი თავის დროზე და წ[illegible] (კაპიტალს) ფული. [illegible]ფელში თავისი გაჭ[illegible] [illegible]ლი ხელოსნობა სრული[illegible]

**ყაზანის გუბერნიაში,** ჩისტოპოლის მაზრაში, გლეხებმა დიდი მიტინგები და დემონსტრაციები გამართეს წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით.

**იაროსლავის გუბ.** გოლოვის მაზრაში გრაფინია მუსინ-პუშკინის მამულში გლეხები არესტებისა და კაზაკების მიუხედავათ, თავს არ ანებებენ ტყეების ჩეხას. 2 სექტემბერს სოფ. ილოვნაში გაჩეხილ ხე-ტყის ჩამოსართმევათ მივიდნენ მოურავი, პოლიცია და სტრაჟნიკ-კაზაკები. აჯანყებულმა გლეხებმა მოიყარეს თავი და ცულებით შეიარაღებულებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს კაზაკებს, ნება არ მისცეს ხე-ტყის აწეისა.

— რუსის ხალხის კავშირის წევრი ბერ-მონაზონი ილიოდორი თურმე მთელ გუბერნიაში დადის და ყოველ წირვის შემდეგ ხალხს უქადაგებს: „დროა „ჟიდების“ და კრამოლნიკებას ულღიდან განვთავისუფლდეთ და ჯეროვანი „ატპორი“ მივცეთ „ქრისტეს გამყიდველთ“-ო. ამ აგიტაციას დღემდი ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოუღია. ხალხი უმეტეს ნაწილათ ხმის ამოუღებლივ იშლებოდა. სოფ. პახავეში ერთ მოხუც გლეხს უთქვამს მისთვის: „ბერო, გირჩევნია ღმერთი ილოცო,ნუ რევ მართლმადიდებელ ხალხს, წადი აქედან, ჩვენ ჩვენი ჭკუით გვინდა ვიცხოვროთ, შენი ჭკუის სწავლება ჩვენ არ გვესაჭიროება.

**პეტერბურგის გუბ.** პეტერბურგის მაზრაში სოფ. გოსტილიცაში გლეხებმა თავიანთ საზოგადოებაში აღარ მიიღეს სემიონოვის პოლკის ორი სალდათი, რომელთაც სამხედრო სამსახურის ვადა გაუთავდათ. თუმცა გლეხებს ბევრი უჩიჩინეს ისპრავნიკმა და ადმინისტრაციის სხვა პირებმაც, თუმცა მათ ბევრს ემუდარენ თვით ნასალდათართა მშობლები, მაგრამ გლეხებმა მათ ყურიც არ ათხოვეს.

## ღია წერილი

ბ ამ—ბს.

„არა რა არს დაფარული, რაიცა არ გამოცხადდეს“.

ამ ერთი თვის წინათ № 177 „კავკაზის“ გაზეთში იყო მოთავსებული ბ-ნ ამ—ბის ფელეტონი „ქართველი—ქართველზედ“. ამ ფელეტონს დაწვრილებით არ შევეხები, რადგან თავით ბოლომდის პროვოკაციაა.

რაც შეეხება იმას, რომ მე არავითარი მამული არა მაქვს, ამის შესახებ თქვენს სიტყვებს გავიმეორებ, ბ-ნო ამ—ბო: დიახ, კარგათ იცით, რაც მე მაქვს და ისიც კარგათ იცით, რომ სიცრუეს ამბობთ, და თუ ჩემგან საზოგადოება მოითხოვს დასამტკიცებელ საბუთებს ჩემ მამულების შესახებ, დიდის სიამოვნებით წარვუდგენ და თქვენთან კი საპიროთ არა ვთვლი დასაბუთებით დამტკიცებას.

თქვენა ბრძანებთ, რომ მე იურიდიულათ ნება არა მქონდა მამულები გადამეცა ოსებზე.— მე ნება არა მაქვს, რომ ჩემი უფლებები მამულისა სხვას გადავცე?

მაგრამ, არა, ბ-ნო ამ—ბო, ჩემს წერილს თქვენ ძალიან შეუშინებიხართ და ცდილობთ, რომ საზოგადოების თვალში გააქარწყლოთ. ათასი ცილის წამება რომ დასწეროთ, მე მაინც ჩემს უფლებებს იმ მამულზე ვერ წამართმევთ და ვერც თქვენ და თქვენი კამპანიით ათასი დახავსებულ კანონებით რომ ეცადოთ, იმ ხიზნებს და გლეხებს ჩემგან და ჩემი ძმისგან გადაცემულ მამულებს ვერ წაგლეჯავთ!

აი კიდევ რასა ბრძანებს ბ. ამ—ბი: „и съ усиленіемъ реакціи эти самые господа силой отнимаютъ у крестьянъ то, что они передали имъ добровольно“. რა ღობე-ყორეს ედებით ბ-ნო ამ—ბო? თუ მე მამული არა მქონდა, მაშ რას გადავცემდი, ან რას წავართმევდი გლეხებსა? ამისთანა ცილისწამება მეპორეებმა იციან. „А когда то вѣдь тотъ же самый кн. Палавандовъ былъ очень дѣятельнымъ членомъ дворянской дружины“. რა გინდათ ამითი თქვათ ბ-ნო ამ—ბო? დიახ, გახლდით იმ თქვენ ნაქებ მილიციაში და დავყავი მხოლოდ 12 დღე! ჩქარა გადაუხვია იმ თქვენმა დალოცვილმა მილიციამ თავის პროგრამას და ჩქარაც გამოვეცალე. თქვენ კარგათ იცით, რაც ბოლო მოუვიდა ამ მილიციას და როგორ დაიფუშა. ისიც კარგათ იცით, ბ-ნო ამ—ბო, რომ აგ ნანგრევებზე რ-ღაც ორგანიზაცია უნდა აგეშენებინათ და ისიც იცით, ვისთვისაც, და ვერ მოგიხდათ. კმარა, ბ-ნო ამ—ბო ხალხის მოტყუილება, ჩამოიხსენით ბადე, ვინც ხართ, დაინახონ!

თუმცა ეს ჩემს წერილს არ შეეხება, მაგრამ არ შემიძლიან, არა ვსთქვა იმაზე, რასაც ამბობს ბ-ნი ამ—ბი: „Пропаганда сдѣлала свое дѣло и принесла „блестящіе плоды. Памятники старой грузинской культуры,—старыя церкви и иконы,—все растаскано, все оплевано.“ როდის აქეთ გახდით, ბ-ნო ამ—ბო, ეგრეთი გულშემატკივარი ქართველების კულტურისა, ეკლესიისა? რატომ მარშან არ შეგტკიოდათ გული, როდესაც ალიხანოვ-ავარსკი ქუთაისის გუბერნიას ანადგურებდა და ქართველ დედებს აუპატიურებინებდა?

გახსოვთ თქვენ, როდესაც ჩემთან ბრძანდებოდით და ქუთაისის გუბერნიის განადგურებაზე გვქონდა ლაპარაკი და ქართველ დედების გაუპატიურებაზე ბაასი, თქვენა ბრძანეთ: „Подѣломъ имъ, блондины пойдутъ!“ და თქვენ ამის შემდეგ, განა უფლება გაქვთ თქვენ თავს ქართველი დაუძახოთ!?

დუშიკო ფალავანდიშვილი.

—

ვთხოვ რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ღია წერილი.

## დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

12 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ 7 სექტემბერს ბოროტგამზრახველებმა ევრბის ხაზინიდან მოიპარეს ფასიანი ქაღალდები 9000 მან. ღირებული.

**მოსკოვი.** სამხედრო-საველე სასამართლომ მუშა დარაჩევს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა თავდასხმისათვის.

**რიგა.** საღამოზე ტრამვაის ვაგონს კიდევ ესროლეს ყუმბარა. დაჭრილია გამყოლი.

**ომსკი.** გაიფიცნენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურენი, მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს და ჯამაგირის მომატებას. მაღაზიის პატრონები თავის ოჯახის წევრების შეწევნით ვაჭრობენ.

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს ცხრე საათზე გრეჩესკი პროსპექტზე რიაბინინს თავს დაესხნენ ბოროტგამზრახველნი, გაჩხრიკეს ბინა, წაიღეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები და ვექსილები 200,000 მანათის და მიიმალნენ.

**კიევი.** გენერალ-გუბერნატორმა დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება რუდენოვსკის სიკვდილით დასჯის შესახებ.

**ტულუზა.** დაიჭირეს ახალგაზდა რუსის ქალი. მან სთქვა, რომ ყუმბარას ინახავდა უმაღლეს პირის მოსაკლავათ.

**ბიისკი.** კალმაკების განადგურების საქმე ერთი დამნაშავის ავათმყოფობის და ზოგიერთ მოწმეების დაუსწრებლობის გამო სასამართლომ გადასდო.

**პერმი.** გასულ წელში ორი კაზაკის მოკვლის გამო სამხედრო სასამართლომ ზაპოლსკის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა და იმავე დროს შეუმდგომლობა აღძრა სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალონ; ივანოვს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება და სავალდებო გაამართლა.

**ელისავეტგრადი.** რადგან მაზრაში თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა ძალიან გავრცელდა, გენერალ-გუბერნატორმა დაავალა მცხოვრებლებს სოფლათ ღამ ღამობით ყარაულები დააყენონ. ყველა გამვლელ-გამომვლელს თვალ-ყური ადევნონ და საეჭვო პირები დაიჭირონ. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეებს სამი თვის ციხე ან 3000 მ. ჯარიმა გადახდებათ.

**ოდესა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ნოვი ბაზარში, და უმეტესათ სოლოვიო ქუჩაზე დღითა და ღამით თავს ესხმიან გამვლელ გამომვლელთ.

**ნარვა.** კრენმგოლსკის მანუფაქტურის ყველა ქარხნებში მუშაობა დაიწყო. ადმინისტრაციამ 260 მუშის მიღებაზე უარი სთქვა.

**ლუგანსკი.** დღეს დილის 4 საათზე სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს სამი მძარცველი—მალცევი, დენისოვი და ლოკოტოვი.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს იან გურალჩიკი, რომელსაც შეიარაღებულ თავდასხმას აბრალებდნენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გ-ეხ ვასილიევს, რომელმაც მწყრალ კოზლოვს ხუთჯერ რევოლვერი ესროლა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.—მინისტრთა საბჭომ დაადგინა, მიეცეს უფლება პოლიციის მოხელეებს თავის განკარგულებით ბორკილები დაადონ ტუსაღებს, რომ გაქცევა ვერ მოასწრონ.

**ბაქო.** საღამოს ათი საათის ნახევარზე მოლოკნას ბაღის ახლო საშინელი სროლა ასტეხეს. უცბათ ყველა კარ-ფანჯრები ჩაკეტეს და მოძრაობა შესწყდა. ზალპებით სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. გამოირკვა, რომ პატრულებს რესტორან „ბერლინ“ და „სევასტოპოლ“-იდან ესროლეს, საიდანაც პოლიციის სიტყვით პირველად ი ისროლეს. მეზობელი მედუქნეები ამბობენ, რომ პოლიცია თავს დაესხა ანარქისტებს, რომლებიც რესტორანში ისხდნენ, მაგრამ მათ გაქცევა მოასწრეს. სროლის დროს მოკვდა ერთი და დაიჭრა რამდენიმე.

**ბათომი.** თფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ როგოვნიკოვს ჯარში აგიტაციის გაწევისათვის საუკუნოთ ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა და გოგინაშვილს შუტცის ციმერმანის ფირმისგან ფულის დატყუებისთვის წელიწად ნახევრით ციხეში ჯდომა.

**სტოკჰოლმი.** აქ დაჭერილი 5 ფინელები ლიგას შეადგენდნენ, რომლის თავმჯდომარეთ ნიმანი იყო. ის გამოტყდა, რომ რევოლიუციონურ კომიტეტის გადაწყვეტილებით მათ უნდოდათ სტოკჰოლმის ბანკის გაძარცვა. ნიმანის ბინაში იპოვნეს 5 კილოგრ. დინამიტი და გატენილი ყუმბარა. დაჭერის დროს ნიმანმა განაცხადა, რომ ის ბანკის გაძარცვის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა ძალა დაატანათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ერ. ჩანტლაძე.**